საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 22 ოქტომბერი. 2021 წ. №191 (9310) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მელია მოუნადირებელი დათვის ტყავით ინიღბება და რაც ესიზმრება, იმ მოლანდებულ ჩრდილოვან კოალიციურ მთავრობას ქმნის!

ილია ჭავჭავაძის მიმართვა თბილისელებს

თქვენ გინდათ კაცი! ③

კახა კალაძე:

ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ – დაშლილი და შეერთებული ③

② **ლევან ნიკოლეიშვილი:**

მამუკა ხაზარაძემ ნაციონალობა აღიარა!

ლევან აბაშიძე:



მეუფე ნიკოლოზი რომ გამოდის და გირგვლიანის ნათესავების მაგივრად ამბობს, მოდით, ვაპატიოთო, მათ არ ეკითხებაო?!

④

რა (არ) თქვა ⑧ ოსტინმა?!

თავდაცვის მდივნის ვიზიტის პრაქტიკული შედეგები

გამორიცხულია, სააკაშვილი საპატიმროდან ვადაზე ადრე გამოვიდეს!

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ვადაზე ადრე გათავისუფლება ან უკრაინისთვის გადაცემა გამორიცხულია. ამ თემაზე ირაკლი ღარიბაშვილმა კომენტარი ზუგდიდში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„გამორიცხულია, რომ სააკაშვილი საპატიმროდან ვადაზე ადრე გამოვიდეს. მინიმუმ 6 წელი იჯდება საპატიმროში. და, რა თქმა უნდა, ასევე გამორიცხულია მისი გადაცემა უკრაინაში. ეს არის სრული აბსურდი“.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

მომაკვდავო ერო და ბერო, გამოვფხიზლდეთ!!!

თუკი ქართველი ⑥ საჯიშედაც ⑦ აღარ დარჩა...

ირაკლი ღარიბაშვილი: საზღვრის უკანონო კვეთა ჩვეულებრივი დანაშაულია!

მე მძონდა ჩვენს არაერთ ევროპელ კოლეგასთან და მეგობართან საუბარი და ხუმრობით, ისინი გაოცებულები, განცვიფრებულები არიან, საერთოდ როგორ შეეძლო ყოფილ პრეზიდენტს, ჯერ ერთი, მაშინაც შოკში იყო ყველა, როცა ამ კაცმა დატოვა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა, პასპორტი, ეს არის პირდაპირ ღალატი და მეორე ის, რომ კონტრაბანდის გზით, მალულად, ქურდულად, სამარცხვინოდ შემოიპარა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს მარტვილში, სააკაშვილისთვის ახალი ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, სააკაშვილმა კანონი დაარღვია, ვინაიდან საზღვრის უკანონო კვეთა ჩვეულებრივი დანაშაულია.

„რა თქმა უნდა, შესაბამისი რეაგირებაც ჰქონდა პროკურატურას, ჩვენს სახელმწიფოს და ამ საკითხს, არავინ დედამიწის ზურგზე, არცერთი ქვეყანა და არცერთი ნორმალური ადამიანი კითხვის ნიშნის ქვეშ არ და ვერ დააყენებს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ეს ფარსი, რომელიც ვიხილეთ, არის „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის პრეზენტაცია

ჩვენს მოსახლეობას მინდა ავუხსნა, მათი ეს ფიქტიური დაყოფები, ვითომ ახალი პარტიების შექმნა მათსავე წიაღში, რა თქმა უნდა, იყო აბსოლუტური ფარსი და ტყუილი, საკუთარი ამომრჩევლის მოტყუება და ჩვენი მოსახლეობის მოტყუების მცდელობა.

„მათ ჰგონიათ, რომ როგორც ატყუებდნენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს, სამწუხაროდ და საუბედუროდ, თავიანთი პროპაგანდისტული მანქანებით, ასევე ეგონათ, რომ ახლა მოატყუებდნენ. რომელ ნორმალურ ადამიანს შეეძლო, დაეჯერებინა ის ფარსი, რაც ჩვენ გუშინ ვიხილეთ. არცერთი არ იყო მანდ სხვა პარტიის წარმომადგენელი, გარდა მამუკა ხაზარაძისა, რომელიც ასევე ფიქტიურად იყო სხვა პარტიის წარმომადგენელი. მამუკა ხაზარაძე ყოველთვის იყო სააკაშვილის, ამ ბანდიტი მთავარი დამნაშავის მორჩილი მსახური. ნებისმიერ ბიზნესმენს ჰკითხეთ. მამუკა ხაზარაძე იყო ჩვეულებრივი შემსრულებელი ამ მძიმე ფინანსური დანაშაულებისა. ღამის 02:00-03:00 საათზე მიჰყავდათ ბიზნესმენები ნოტარიუსთან, მათ შორის „თიბისი“ ბანკშიც, ხაზარაძის ოფისებშიც და ხდებოდა ბიზნესების გადაფორმება, ბანკიდან სესხის ფიქტიურად გაცემა, შემდეგ იმ თანხას სახელმწიფო ართმევდა ბიზნესმენს სააკაშვილის დროს და ამ დიდ დანაშაულებრივ სქემაში იყო ჩართული ხაზარაძე. ეს ყველამ იცის, ნებისმიერმა ბიზნესმენმა. ათობით და ათასობით ადამიანი ჯერ კიდევ დაზარალებულია და ისინი ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას. აქედან გამომდინარე, ეს ფარსი, რომელიც ვიხილეთ, არის „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის პრეზენტაცია, რა კომენტარი შეიძლება ამაზე გავაკეთო, გარდა იმისა, რომ 30 ოქტომბერს ისინი სასტიკად დამარცხდებიან ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის თბილისშიც და ქვეყანა გააგრძელებს მშვიდ განვითარებას“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ცხინვალელთა საჩივრები ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო!

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველომ სტრასბურგის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე – „ბეკოევა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ და „შავლოხოვა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განჩინებები გამოაქვეყნა და საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა.

„საქმეები აერთიანებს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების ნაწილს. სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ომის დროს ცხინვალის რეგიონი აქტიურად იბომბებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და საქართველოს შეიარაღებული ძალები არ ახორციელებდა კონტროლს ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, შეუძლებელია რაიმე დარღვევა შეერაცხოს საქართველოს. სასამართლომ, აგრეთვე, გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ხსენებული საჩივრები იყო აშკარად დაუსაბუთებელი, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მინიმალური სტანდარტის მტკიცებულებები მათი პრეტენზიების გასამყარებლად“.

„ინფორმაციისთვის, რუსეთის კოორდინაციით 2008-2009 წლებში საქართველოს წინააღმდეგ 3 300-ზე მეტი საჩივარი შევიდა, თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და სამართლებრივი პოზიციების საფუძველზე 2 800-მდე საჩივარი უკვე ამოირიცხა, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, რადგან ევროპულ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა რაიმე მტკიცებულება, რომელიც საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის რომელიმე მუხლის დარღვევას დაადასტურებდა.

აგვისტოს ომის საქმეზე 2021 წლის 21 იანვრის ისტორიულ გადაწყვეტილებასთან ერთად, სადაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა და დაადასტურა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, დღევანდელი განჩინებები წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს კიდევ ერთ გამარჯვებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ამ განჩინებებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სასამართლოში წარმატებით დაიცვა სახელმწიფოსა და ქართული ჯარის ინტერესები.

კარლ ჰარცელი: 2 ოქტომბრის საარჩევნო დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა, ვიმედოვნებთ, რომ ეს მეორე ტურშიც შენარჩუნდება

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა არჩევნების პროცესი შეაფასა. მისი თქმით, პირველ ტურში შეინიშნებოდა პოზიტიური მოვლენები, რაც წინა არჩევნების შემდეგ მოხდა და არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო განმტკიცდა.

მისივე თქმით, არჩევნების მეორე ტურს, პირველი ტურის მსგავსად, ევროპარლამენტის დელეგაციაც დააკვირდება.

„პირველ რიგში, მე მოხარული ვარ, რომ „ოდირის“ წარმომადგენლები რჩებიან და სრული სადამკვირვებლო მისია იქნება მეორე ტურში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირველ ტურში და ასევე მნიშვნელოვანი იქნება მეორე ტურში, მათ შორის, არსებულ პერიოდში. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ იქნება კიდევ ერთი მისია ევროპარლამენტიდან. მაცნობეს, რომ ევროპარლამენტის ოთხი წევრი მიიღებს მონაწილეობას „ოდირთან“ ერთად, ისე, როგორც პირველ ტურში. ეს იყო ჩემი და ჩემი კოლეგების გზავნილი არჩევნებიდან რამდენიმე დღეში, რომ ჩვენ შევნიშნეთ პოზიტიური მოვლენები, რაც წინა არჩევნების შემდეგ მოხდა. ვფიქრობთ, რომ არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო განმტკიცდა, მათ შორის, საარჩევნო რეფორმის შედეგად, რომელიც 19 აპრილის შეთანხმებას მოჰყვა. ჩვენ ასევე ვიხილეთ, რომ საარჩევნო დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა. ვიმედოვნებთ, რომ ეს მეორე ტურშიც შენარჩუნდება“.

ლევან ნიკოლეიშვილი: მამუკა ხაზარაძემ ნაციონალობა აღიარა!

მელიამ მამუკა ხაზარაძე, თავისი ჩრდილოვანი კაბინეტის პრეზენტაციაზე მერის მოადგილედ წარადგინა: უნდა გენახათ, როგორი გახარებული იყო „ლელოს“ ლიდერი, გეგონება, მართლა მერის მოადგილედ დანიშნეს, – ასე ეხმიანება ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი მამუკა ხაზარაძის მერის მოადგილედ წარდგენას და მიხეილ სააკაშვილის ვიდეოს აზიარებს, სადაც ის მამუკა ხაზარაძეზე ამბობს, რომ – ვერაფერი ვერ ისწავლა ცხოვრებაში და ყოველთვის არასწორ მხარეს ჩნდება. სააკაშვილი იხსენებს ხაზარაძის გეპეის კომკავშირის მდივნობის დროს მომხდარ ფაქტს, როდესაც ის გეპეიდან გამოვარდა და ციხიდან გამოსულ მერაბ კოსტავას პალტო შემოახია.

არჩილ ჩიქოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა!

„ქართული ოცნების“ ბათუმის მერობის კანდიდატმა, არჩილ ჩიქოვანმა საგანგებო ბრიფინგზე „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს უპასუხა.

„მინდა, პასუხი გავცე იმ წარმოუდგენელ ბრალდებებს, ფაბრიკაციებს, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართულად ავრცელებს ჩემი მისამართით. „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, საზოგადოებას და ჩვენს ამომრჩეველს არასოდეს ვაკადრებ, არგუმენტებისა და ფაქტების გარეშე ვესაუბრო. ამიტომ, დღეს გავასაჯაროებ ყველა ინფორმაციას, რითაც საბოლოოდ ჩავხურავ ფეიკნიუსებს და კიდევ ერთხელ ვამხელთ ამ ბნელ ძალას.

როგორც კი გაჟღერდა მძიმე ბრალდებები ჩემი მისამართით, თითქოს სისხლის სამართლის საქმის არსებობის მიმდინარეობის ან ბრალეულობის შესახებ იყო კონკრეტული წარმოება დაწყებული, მივმართე აჭარის პროკურატურას. დღეს მივიღე პროკურატურის პასუხი, რაც მინდა გავასაჯაროო და წარმოგიდგინოთ ჟურნალისტებს: პირველი: სისხლის სამართლებრივი დევნა ჩემ მიმართ არ არსებობს და არც მიმდინარეობდა არასდროს. მეორე, 2018 წლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხება და უკავშირდება ალამბარი-ზენითის საავტომობილო გზის სამუშაოების შესრულებასთან შესაძლო დანაშაულების ჩადენის ფაქტს, ჩემ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ან რაიმე სახის ბრალეულობა არ დგინდება. უფრო მეტიც, ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დასრულებულია, გამოვლენილია კონკრეტული დამნაშავე პირები და სახელმწიფოს აუნაზღაურდა გამოძიებით დადგენილი ზიანი“, – განაცხადა ჩიქოვანმა.

ჯუანშერ ბურჭულაძე: ისეთ იარაღებს ვყიდულობთ, რომელიც კომერციულ ბაზარზე ნაკლებად ხელმისაწვდომია

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ლოიდ ოსტინის ვიზიტი შეაჯამა. თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველო ცდილობს, წარმატებას მიაღწიოს ისეთი შეიარაღების შესყიდვის საკითხებში, რომელიც კომერციულ ბაზარზე ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მსხვილ შეიარაღებასთან ხელმისაწვდომობა წინა ხელისუფლების უპასუხისმგებლო ნაბიჯების გამო შეზღუდული ჰქონდა.

აბსოლუტურად განადგურებული „დელტა“ და „თბილავიამშენი“ ავაღორძინეთ!

ვერტმფრენებთან დაკავშირებით, ჩვენ საუკეთესო გამოსავალი ავირჩიეთ, ავაღორძინეთ აბსოლუტურად განადგურებული სახელმწიფო საწარმო „დელტა“ და „თბილავიამშენი“, რომლებიც სინქრონულად მუშაობენ“, – ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა „რუსთავი2“-ის ეთერში განაცხადა. ჯუანშერ ბურჭულაძემ სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენისა“ და სსსტც „დელტას“ მიერ გარემონტებულ და რეაბილიტირებულ ვერტმფრენებზეც ისაუბრა.

„ჩვენ ოთხი სუ 25-ის რეაბილიტაცია მოვახერხეთ. ის ვერტმფრენები, რაც გვქონდა არ ექვემდებარებოდა ექსპლუატაციას და ვერ გამოვიყენებდით. ჩვენი რესურსით ვახერხებთ ამ ვერტმფრენების რეაბილიტაციას. ერთ თვეში იქნება ჩვენ მიერ რეაბილიტირებული პირველი ვერტმფრენი“, – განაცხადა ბურჭულაძემ.

თქვენ გინდათ კაცი!

ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღე იმისი თუ, – ვინ უნდა მოუაროს, ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის.

კანონმა ნება მოგვცა ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელ ქალაქსა.

ყველამ ერთად, რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო.

იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ – ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენი ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლებს, ღარიბს არ ახდევინოს.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტყლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჭლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არ ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იაფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითქმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იფანტებოდეს გულდაუდებლობით და უთადარიგობითა.

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელ ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვებედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინდისი არ გეუბნებათ.

ილია ჭავჭავაძე

1897 წ.“

P.S. და, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართვის ავტორი გახლდათ ბუმბერაზი ილია, მაინც „დაიწუნე“ და არ(!) აირჩიეს(!). ასევე, გააშავეს (!!!) მეორე ბუმბერაზი, „საქართველოს ბულბული“ აკაკი!

რატომ? იმიტომ, რომ...

ვეებერთელა მამულიშვილების, პრაქტიკულად ერის მამების პარალელურად თუ, უფრო ხშირად, საპირისპიროდ, ყოველთვის, ყველა „დროში“, ყველა კუთხეს, ქალაქს, სოფელს, ქუჩას ჰყავდა, ჰყავს და, სავარაუდოდ, მუდამ ეყოლება არა მარტო საკუთარი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი, არამედ თავისი „ჭკუის და გაქანების“ მსგავსი „შადიმანი“, განუმეორებელი რეფორმატორი, აღმაშენებლის ტოლი სტრატეგი, ჭყონდიდელზე შორსმჭვრეტელი „მოღვაწე“, თამარზე „ძლიერი და გამოცდილი“ სავარაუდო მმართველი, გიორგი ბრწყინვალეზე მოქნილი, ოკუპანტისთვის „პანჩურის მთავაზებელი“, ერეკლე მეფეზე ჭკვიანი და დაუღალავი მებრძოლი, ილიაზე ბრძენი, აკაკის ტოლი პატრიოტი და რუსეთის მოძულე არაერთი „მიშიკო-გიგილო-გრიშიკო-ზალიკია-თაკოია-შალიკია-ტაკოია-კაკოია-ნატოია-ალეკო-ლაშიკო-ოთიკო-მურმანა-ბადრია-არმაზა შუბლაძეები, უგულავები, ბაქრაძეები, ვაშაძეები, ახვლედიანები, კახიძეები-მაჭუტაძეები...“) და ამიტომაც ყოველთვის თუ არა, უფრო ხშირად, ღირსეულთა სანაცვლოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, ოლიმპზეც კი, მოდიოდა, მოდის და, თუ ჭკუას არ მოვუხმეთ, კიდევ მოვა კოლექტიური „ლილიპუტა“... გუგავა!

ისე არ აუდგათ ამათ გვერდები!

კახა კალაძე: ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლილი და შეურეთებული

„ვერანაირი პოლიტიკური პერფორმანსი ვერ შეცვლის თბილისელების დამოკიდებულებას ჩვენ მიმართ; ვერანაირი პოლიტიკური პერფორმანსი ვერ მოაწესრიგებს ვერც საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ვერც ინფრასტრუქტურას, ვერც გარემოს დაცვის მიმართულებას, ვერც რეკრეაციულ სივრცეებს. ჩვენ ვართ ერთადერთი რეალური გუნდი, რომელსაც აქვს კონკრეტული ხედვა ამ ქალაქთან დაკავშირებით, კონკრეტული გაკეთებული საქმეები აბსოლუტურად ყველა მიმართულებით ბოლო 4 წლის განმავლობაში. ამიტომ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არსებულ გამოწვევებს და პრობლემებს, რომელიც ჯერ კიდევ ყველას გვაწუხებს, პასუხი მაქსიმალურად გაეცეს მომდევნო 4 წლის განმავლობაში“.

მან ასევე აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოში უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ აქვს და დედაქალაქის მთავრობასაც ის დაამტკიცებს.

„სასაცილოა, ადამიანი გამოდის და წარადგენს კონკრეტულ პირებს, ესენი იქნებიან თანამდებობებზეო, მაშინ, როდესაც თბილისის საკრებულოში უმრავლესობად „ქართული ოცნებაა“ წარმოდგენილი. როდესაც მე გავიმარჯვებ და წარვადგენ კონკრეტულ კანდიდატებს მოადგილეებად, სამსახურის უფროსებად, ისინი უნდა დაამტკიცოს დედაქალაქის საკრებულომ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

კახა კალაძემ წინასაარჩევნო შეხვედრა ამჯერად სტუდენტებთან გამართა. დედაქალაქის მერობის კანდიდატმა შეხვედრაზე წინასაარჩევნო გარემოზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, პოლიტიკური ოპონენტები, თბილისის განვითარებაზე საუბრის ნაცვლად, მისი შეურაცხყოფითა და სიძულვილით იყვნენ დაკავებული.

„ასე გაგრძელება უბრალოდ შეუძლებელია. ჩვენ, ყველამ, ვინც ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები ვართ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ რევანშს, ბოროტებას, სიძულვილს, ცილისწამებას დაბრუნების შესაძლებლობა. ყველაფერი იკადრეს, რაც კი ცუდი შეიძლება ადამიანმა გაიფიქროს. დაუპირისპირდნენ ყველაფერს, რაც კი ძვირფასი გაგვაჩნია. ამას არ დავუშვებთ. ჩვენ საკუთარ სახელმწიფოსაც დავიცავთ, საზოგადოებასაც, ეკლესიასაც, კულტურასაც, ტრადიციებსაც“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

„ისმის კითხვა, თუ რატომ უნდა ავირჩიოთ კახა კალაძე?! გულწრფელად ვიტყვი, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, რაც თბილისში გაკეთდა, ამდენი კარგი პროექტი და საქმე ამ ქალაქისთვის არასდროს გაკეთებულა. ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. ჩემ უკან დგას 30 000-მდე თანამშრომელი, რომლებიც ყოველდღიურად ემსახურებიან ქალაქს იმისთვის, რომ რაღაც მოაწესრიგონ, გამოასწორონ, რეფორმები განახორციელონ. ეს ყველაფერი უნდა გაგრძელდეს. იმიტომ უნდა აირჩიონ კახა კალაძე, რომ ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა, პროექტები ამ ქალაქთან დაკავშირებით“, – განაცხადა თბილისის მერობის კანდიდატმა.

* * *

როცა ამას „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ აკეთებენ, მედიას პროტესტი აქვს, მაგრამ როდესაც ჩემი ოჯახის მისამართით ხდება ცილისწამებისა და სიძულვილის კამპანია, თურმე ეს მისაღებია. ასეთი ორმაგი სტანდარტები არ ვარგა.

„მე ხომ არ ვიგონებ ამას, აბსოლუტურად გულწრფელად გამოვხატავ გულისტკივილს. ჩართეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზიები და ნახეთ, რა ცილისწამება, რა ვიდეოკლიპები გადის და რა ენით საუბრობენ, როგორი შეურაცხყოფა გვესმის. დავანებოთ თავი იმას, რომ პოლიტიკოსი ვარ, მაგრამ აქაც ხომ რაღაც ზღვარი არსებობს და წითელი ხაზები, რომელიც არ უნდა გადავკვეთოთ? ცილს სწამებენ ჩემს მეუღლეს, დედას, მამას, მცირეწლოვანი ბავშვების ბანერებს წითელი საღებავი შეასხეს. რაზე ვსაუბრობთ საერთოდ?

მე რომ გამოვიდე და დავიწყო შეურაცხყოფების მიყენება ნიკა მელიას, გვარამიას ან ნებისმიერის ოჯახის წევრების მიმართ, ეს ნორმალური და მისაღებია? ეს მოსწონს საზოგადოებას? თქვენ, ჟურნალისტები, ამ ყველაფერს ხედავთ, აშუქებთ და რატომ არ გიჩნდებათ პროტესტის გრძნობა? ანუ, თუ ჩემ წინააღმდეგ აკეთებენ, კარგია, ტაში უნდა დავუკრათ, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ აკეთებენ, ეს როგორ შეიძლება. ასეთი დამოკიდებულება არ ვარგა, მეგობრებო. თუ ჩვენ არ გვექნება ერთნაირი მიდგომა და გვექნება ორმაგი სტანდარტი, რასაც პარტიული ტელევიზიები აკეთებენ, ეს ძალიან მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს“...



ᲛᲘᲔᲪᲘᲗ �კᲔᲘᲡᲐᲠᲡᲐ ᲙᲔᲘᲡᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ...

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ: ᲛᲔᲣᲤᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲝᲗᲝ, ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ?!

„ᲛᲔᲣᲤᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲜᲐᲪᲔᲛᲘ, ᲜᲐᲒᲕᲔᲛᲘ, ᲓᲐᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲕᲞᲐᲢᲘᲝᲑ ᲘᲛ ᲪᲝᲓᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲔ ᲛᲘᲥᲜᲐᲝ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲝᲗᲝ, ᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔᲐ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲗᲔᲝᲚᲝᲒᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

— ᲛᲔᲣᲤᲔ ᲨᲘᲝᲡ ქᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐᲓ ᲐᲚᲘᲫᲕᲔᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲘᲡᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲛᲔᲣᲤᲔ ᲨᲘᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲑᲐ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲩᲔᲠᲝᲗ. ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, ᲠᲐᲡ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ, ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲓᲔᲗ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ? ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲐ, ᲨᲔᲕᲐᲩᲔᲠᲝᲗ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ?

— ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲖᲠᲘᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲖᲝ�გᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲐ, ᲖᲝ�გᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲐ. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ თქვა, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲑᲐ, ᲖᲝ�გᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ. ᲗᲣ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲕᲩᲡᲜᲐᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲪᲘᲮᲔ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲨᲕᲐᲗ. ᲗᲣ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲐ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ?! ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲔᲛᲐ�გᲝ�გᲘᲐᲐ.

— ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲤᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲭᲣᲛᲐᲜᲣᲠᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ, ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲔᲜ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲛᲐ, ᲛᲐᲗ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲥᲝᲛᲐ�გᲔᲑᲐ, ᲣᲤᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲮᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲗᲝ ᲘᲧᲝᲡ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ?

— დიახ, ისე გამოდის, რომ ცალკეული მეუფე კარგი ქრისტიანია და მე თუ არ მოვაწერე ხელი სააკაშვილის შეწყალებას, ცუდი ქრისტიანი ვარ? ეს პოპულიზმია.

— სააკაშვილის დროს ნაწამები ადამიანები ციხეში და ციხის გარეთ მეუფეებისთვის არ უნდა ყოფილიყო შემაკავებელი ფაქტორი? არაფერს ნიშნავს ცალკეული მეუფისთვის მოყვასის ტანჯვა? დროის გასვლამ ამ უბედურებების ნიველირება მოახდინა? ითქვა კიდეც, რომ შერიგება უნდა მოდიოდეს ტანჯულისგან და არა მტანჯველისგან, ან, მით უფრო, შუამავლებისგან.

— ამაშია საქმე, დაზარალებულმა რომ თქვას, მე ვაპატიებ დამნაშავეს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მეუფე რომ ამბობს ამას, რომელსაც ეს უბედურებები არ შეხებია, სხვის მაგივრად რომ ამბობს, მივუტევოთო, ეს არ არის სწორი საქციელი. სახარებაში არის ძალიან კარგი მაგალითი, როდესაც ეუბნებიან იესო ქრისტეს, აგერ არის მონეტა, დინარი და მივცეთ კეისარსო? ანუ ამქვეყნიურ კანონებს მივყვეთო? ეს ხომ წარმართული ქვეყანაა და ესენი ხომ ჩვენი მტრები, ოკუპანტები არიანო? ქრისტემ მიუგო, რა ახატია ამ მონეტას? კეისარიო, — უპასუხეს. ქრისტემ იკითხა, წარწერა ვისიაო? კეისრის წარწერაა. „მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა“, — იყო ქრისტეს პასუხი. ანუ საზოგადოებამ თუ გვინდა, იარსებოს, იქ უნდა იყოს სასამართლოც და ციხეც, ისე საზოგადოება ვერ იარსებებს. სადღაც უდაბნოში შეიძლება რომელიმე მონასტერი ქრისტიანული კანონებით არსებობდეს, მაგრამ საზოგადოებაში სხვა კანონებია, კეისრის კანონები. მე თუ ვარ ისეთი ქრისტიანი, არც ცოლი მყავს, არც შვილი, მონასტერში ვარ, განდეგილი ვარ და ვინმე დამიპირისპირდება, მე მას ხელს არ შევუბრუნებ, ვაპატიებ, ეს ჩემი პირადი გადასაწყვეტია. მეუფე ნიკოლოზი რომ გამოდის და გირგვლიანის ნათესავების მაგივრად (სამწუხაროდ, დედა აღარ ჰყავს ცოცხალი სანდრო გირგვლიანს) ამბობს, მოდით, ვაპატიოთო, ეს სხვა რამეა. ციხიდან ადამიანს გამოუშვებენ თუ არა, ეს სახელმწიფოს გადასაწყვეტია. თუ მიაჩნია ხალხს, რომ უსამართლობა ხდება და სასამართლო არ გვაქვს, მაშინ გამოვიდნენ და გადაირჩიონ მთავრობა, ეს უკვე გაგვიკეთებია, ყველა ხელისუფალი მოვიშორეთ, ოთხი ხელისუფლება მოვიცილეთ. მე ადამიანურად მეცოდება სააკაშვილი, რადგან უაღრესად აქტიური ადამიანია, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, სულ ყურადღების ცენტრში ყოფნა უნდა, მისთვის ციხეში ჯდომა ძალიან მძიმეა, მაგრამ მისი დაჭერა და გამოშვება მოსამართლის ნებაა. მე თვითონ აქ ვიყავი, საქართველოში, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, უცხოეთში კი არ ვყოფილვარ, ახლა უცხოეთში რომ არიან და იქიდან ჭკუას გვასწავლიან. ვინმეს ჰყავს მეზობელი ან ახლობელი, რომ არ ყოფილიყო ციხეში? არ წაერთმიათ ქონება? დარჩა ასეთი ადამიანი საქართველოში? ემიგრანტებში რაც ხდება, უცნაური მოვლენაა. ერთი ადამიანია, რომელსაც წაართვეს ყველაფერი, ბიზნესიდან დაწყებული, ჩასვეს ციხეში, დაწინაურდა, გამოვიდა ციხიდან, წავიდა ახლა ამერიკაში და იქიდან ხმას აძლევს „ნაციონალურ მოძრაობას“. არის ასეთი ხალხიც, სამაგიეროდ, არის ხალხი, რომელიც, რაც არ უნდა მოხდეს, „ნაცმოძრაობას“ და სააკაშვილს ხმას არ მისცემს, ანტირეიტინგი იმხელა აქვს, წარმოუდგენელია.

— როგორც ცნობილია, აპირებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, პატრიარქ ბართლომეოს პირველის ჩარევას სააკაშვილის გათავისუფლების საქმეში. შეუძლია, კონსტანტინოპოლის პატრიარქს ჩაერიოს ჩვენს შიდა საქმეებში?

— ეს გოჩა ბარნოვს ეცოდინება, მაგრამ არა მგონია, ეს სერიოზული საკითხი იყოს. გოჩა ბარნოვს უნდა, საბერძნეთის მსოფლიო საპატრიარქომ ჩვენი ეკლესია გაწმინდოს და ხელახლა დააარსოს ეკლესია. კრებებში არის, ჩამოვიყვანთ სამ ეპისკოპოსს და ისინი აქ დაალაგებენ სიტუაციასო. ერთი მე-20 საუკუნეში ჩამოიყვანეს ბერძენი ეპისკოპოსი და ახლა 21-ე საუკუნეში გოჩა ბარნოვი ჩამოიყვანს. ეს აბსურდის თეატრია. ქრისტიანულ თავმდაბლობას რომ მოუხმონ, საერთოდ გაჩუმდნენ და მიხედონ თავის საქმეს, ეს იქნება კარგი. არ სჭირდება ეკლესიას გოჩა ბარნოვის და თამარ მესხის დაცვა.

— სააკაშვილის მმართველობა ეკლესიაზე შეტევით დაიწყო, გლდანის ეკლესია, ფერიას მთა, პატრიარქთან მის არაეთიკურ დამოკიდებულებაზეც ბევრს საუბრობენ. სინამდვილეში, იყო დაპირისპირება პატრიარქსა და სააკაშვილს შორის?

— იცით, რა, ეს არ არის ასე ცალსახა, ყველაფერი იყო და ყველაფერი არის... ფერიას მთაზე საკმაოდ აგრესიული მოქმედება იყო ეკლესიის საწინააღმდეგოდ. მოსყიდვაც არის, მოთაფვლაც და ჩარევაც... ნებისმიერი ხელისუფალი ცდილობს, ეკლესია და საეკლესიო იერარქია მათ მხარეს იყოს. ჩარევას რაც შეეხება, ცდილობენ, გადაანაწილონ, გადმოანაწილონ, რომ მათი ხალხი იყოს, რომელიც უფრო მათკენ იქნება. ნებისმიერი ხელისუფალი ცდილობდა, კარგად ყოფილიყო საპატრიარქოსთან.

— სააკაშვილის მხრიდან პატრიარქის მიმართ აგრესია იგრძნობოდა?

— გააჩნია, როცა პატრიარქი კრიტიკით გამოვიდა 2008 წლის ომის გამო, იყო გარკვეული აგრესია, მაგრამ ნებისმიერი ხელისუფლება ღია ომს ერიდება საპატრიარქოსთან. მათთვის ეს ომი ძალიან საშიშია, მრევლი თუ დაუდგა პატრიარქს, ხელისუფლებისთვის ძალიან წამგებიანია.

— თავის დროზე უწმინდესმა სააკაშვილის რეჟიმის ტყვე ნორა კვიციანი საპატიმროში მოინახულა, თბილი ტანსაცმელი მიუტანა. პოლიტპატიმრების მიმართ პატრიარქი მზრუნველობას იჩენდა. ნაციონალები ცდილობენ, სააკაშვილიც პოლიტპატიმრად წარმოაჩინონ, მაგრამ პატრიარქი მის მიმართ დუმს. ეს რით აიხსნება, არაფერია სათქმელი მის მიმართ?

— თვითონ ვერ მივიდოდა საპყრობილეში ვინმეს სანახავად, რადგან ავად არის, მისი სახელით მივიდა იქ მღვდელიც და ეპისკოპოსიც, სეფისკვერიც შეუტანეს. აშკარად უსამართლობა რომ იყოს, უდანაშაულო ადამიანი რომ ჩაესვათ ციხეში, შეიძლება, საპატრიარქოსაც თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა, მაგრამ სააკაშვილთან მიმართებით ერთიანი აზრი არ არის. ზოგს მიაჩნია, რომ ძალიან ცოტა წლები მისცეს, ამბობენ კიდეც, ექვსი წელი რატომ მისცეს, როცა მისი ბრძანებით ხალხს ხოცავდნენ? არის სხვა აზრიც, რომ ეს პროცესი პოლიტიზირებული იყო. საზოგადოება გაყოფილია, ერთი მესამედი სააკაშვილზე უარყოფითად ფიქრობს, ერთი მესამედი — დადებითად, კიდევ ერთი მესამედი საერთოდ არაფერს არ ფიქრობს. საპატრიარქო ერთ მხარეს რომ დადგეს და გამოშვება მოითხოვოს, მეორე მხარე რას ეტყვის?

— ნაციონალები ახსენებენ საპატრიარქოს, რომ 25 მილიონი დაუნიშნა სააკაშვილმა ამ ინსტანციას და კონკრეტულად ილია მეორეს, რომელთაც დაავიწყდათ სააკაშვილი განსაცდელის ჟამს. თქვენ რას ფიქრობთ?

— ყველა ხელისუფლება, დაწყებული შევარდნაძის ხელისუფლებიდან, თანხას წირავდა საპატრიარქოს. ასეთი ტრადიცია იყო. ჯერ კიდევ კომუნისტებმა, თავიანთი მმართველობის მიწურულს, ყველაფერი, ყველა ნანგრევი გადასცეს ეკლესიას, შემდეგ ყველა ხელისუფალი აძლევდა ეკლესიას თანხას, არ იყო ეს გამონაკლისი და არც პირველი შემთხვევა. ითვლება, რომ ეს არის კომპენსაცია იმისთვის, რაც ეკლესიამ 70 წლის განმავლობაში ზარალი მიიღო. ეს თანხები იხარჯება უფასო სკოლებზე, საბავშვო ბაღებზე. ეს თანხები რომ მოხსნან, სკოლები და საბავშვო ბაღები, რომელთაც ამუშავებს ეკლესია, პირდაპირ დაიწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. ამდენად, თანხები ნაწილობრივ უბრუნდება საზოგადოებას.

ესაუბრა
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲕᲠᲩᲔᲑᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲕᲣᲭᲔᲠ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ

ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲕᲣ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲩᲐᲜᲡ.ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲓᲐᲜ 1979 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲐᲠᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐᲕᲔᲡᲬᲐᲠᲘ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲠᲕᲐᲡ, ᲕᲠᲩᲔᲑᲘ ᲛᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲕᲣᲭᲔᲠ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, — ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს. როგორც მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი მინისტრი იყო, როდესაც იუსტიციის სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება და საფუძველი ჩაეყარა კონკორდატს.

„თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს ერთად ვიბრძოდით ხუთჯვრიანი დროშის დასაკანონებლად, ერთად აღვადგინეთ ბაგრატის, შემდეგ ფოთის და ნეკრესის ტაძრები.შემდგომშიც ყველა ძირითად საკითხში, მათ შორის, სხვა ეკლესიებთან ურთიერთობებში, ვიყავი და ვარ მისი და წმინდა სინოდის ძირითადი პოზიციების მიმდევარი. იქნებ, ამ სპეკულაციების ავტორებმა იმაზე ამოიღონ ხმა, რომ სახელწიფო დროშაზე ჯვრის გამომსახველს არ მეძლევა უფლება, ციხეში მკერდზე ჩემი პატარა ჯვარი ვატარო და რაც შეეხება დანარჩენს, არავის არ ვურჩევ ისტორიის გადაწერას, ვინაიდან ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და საზოგადოებას ამნეზია არ სჭირს“, — წერს მიხეილ სააკაშვილი.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲪᲐᲐᲕᲐ: ᲐᲘ, ᲠᲐ ᲒᲐᲨᲝᲠᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ!

ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲘᲡ ყოფილი მიტროპოლიტი, მეუფე **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲪᲐᲐᲕᲐ** საქართველოს მესამე პრეზიდენტის იმ პოსტს ეხმიანება, სადაც ის წერს, რომ საქართველოს პატრიარქის ილია II-ის სულიერად შვილად რჩება და საეკლესიო საკითხებში მის პოზიციებს იზიარებს.

„რა მწარედ ტყუვდებით, ბატონო პრეზიდენტო! ძალიან სამწუხაროა, რომ ესეთ დიდ პატრიოტს და ძლიერ პოლიტიკოსს დიდი შეცდომა მოგდით, როდესაც დღევანდელ საპატრიარქოსთან ცდილობთ დიპლომატიური და პოლიტიკური ბინძური თამაშის წესებით ურთიერთობას. მოკლედ გეტყვით, რომ კგბ-ს საბჭოთა, წითელი პატრიარქის საეკლესიო კურსის მხარდაჭერა და კომპლიმენტები დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა მემკიდრეობისა და ცრუ ქრისტიანობის მხარდაჭერაა, ეკლესიაში არსებული უკეთურების, უზნეობის, პედოფილიის, მამათმავლობის, ნარკომანიის, ვერცხლისმოყვარეობის, ანტისახელმწიფოებრივი აზროვნების, საბჭოთა მსოფლმხედველობაში ჩარჩენის და საქართველოსთვის ბედნიერი მომავლის წართმევის მხარდაჭერაა. უფალმა გაგინათოთ გონება და მოგმადლოთ სიბრძნე, აღმაშენებლისეული აზროვნება, რომლის წარმატებას, დიდგორზე გამარჯვებას და საქართველოს გამთლიანებას წინ უძღოდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და არა ფარისევლობა, არა პირფერობა, ზნედაცემული მაღალი იერარქიის მიმართ. უნდა იცოდეთ, რომ გამარჯვების მომნიჭებელი უფალი სიმართლეშია და არა საბჭოთა პატრიარქში... აი, რა გაშორებთ თქვენ ნამდვილი ეროვნული შეგნებისგან და ეროვნული მოძრაობისგან... გისურვებთ მხნეობას და ჯანმრთელობას თავისუფალი, ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ. ამინ!“



ღირსეული მეცნიერი, აქტიური საზოგადო მოღვაწე

ომარ გოგიაშვილის 80 წლისთავთან დაკავშირებით

ომარ გოგიაშვილმა პროფესორების ყურადღება მიიქცია სტუდენტობის და ასპირანტობის პერიოდიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ის ფრიადზე სწავლას კარგად უხამებდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამეცნიერო მუშაობას, იყო ორგზის სახელობითი სტიპენდიატი. 1978 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1987 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები იმ პერიოდისთვის აქტუალური სახალხო მეურნეობის მართვისა და შრომის სტიმულირების პრობლემებზე.

საქართველოში პოლიტიკური მეცნიერებების შემოღწევისა და აღიარების პერიოდიდან პროფ. ო. გოგიაშვილი გახდა ამ მეცნიერების დამკვიდრებისათვის სხვადასხვა პრობლემატიკის აღიარებული მკვლევარი. ამ პერიოდიდან (გასული საუკუნის 80-იანი წლები) მისი მეცნიერული კვლევა ძირითადად სამი მიმართულებით წარიმართა:

1. ქართული პოლიტიკური აზრის, პოლიტიკური მოძღვრებების ისტორია და თანამედროვეობა. ამ მიმართულებით პროფ. ო. გოგიაშვილმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, სტატიები სამეცნიერო კონფერენციების კრებულებში, პერიოდულ გამოცემებში.

2008 წელს გამოვიდა ო. გოგიაშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა „ილია დღეს, იდეოლოგია, პოლიტიკა“. ავტორმა შეძლო, ილიას უაღრესად მრავალმხრივ მემკვიდრეობაში წარმოეჩინა იდეოლოგიურ-პოლიტიკური ასპექტები, რომლებიც აქამდე დაუმუშავებელი, დამახინჯებული ან გაყალბებული იყო და ეს შეასრულა არა განყენებულად, არამედ იმ პერიოდის უდიდესი მოაზროვნეების კონცეფციების ფონზე, მთელი პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევების კონტექსტში. სპეციალისტების წრეებში საყოველთაოდ გაზიარებულია მოსაზრება, რომ აღნიშნული მონოგრაფია თავისი თეორიულ-მეთოდოლოგიური გააზრებით, პრობლემატიკის სიუხვით და მასშტაბურობით, ისტორიული პროცესების და მოვლენების ანალიზით წარმოადგენს უპრეცედენტო მოვლენას ქართულ საზოგადოებათმცოდნეობაში.

„ილია დღეს“ — ილიას ფილოსოფიური, იდეოლოგიური, პოლიტიკური მემკვიდრეობის გაანალიზებისა და განზოგადოების პირველი მასშტაბური და საყოველთაო აღიარებით, წარმატებული აღმოჩნდა, რაზეც არაერთი სამეცნიერო რეცენზია მეტყველებს. მაგრამ მისი გამოსვლის პერიოდში (2008 წ.) გრძელდებოდა ილიას ოცტომეულის ახალი ტომების გამოცემა. შედეგად აღმოჩნდა, რომ მანამდე არსებულ პუბლიკაციებში ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობის ნახევარს თუ იყენებდა ავტორი. ასე მაგალითად, ოცტომეულის მეექვსე ტომში, რომელიც 1863-1882 წლების, ე.ი. ოცწლიან პუბლიცისტიკას მოიცავს, ორმოცზე მეტი წერილი დაიბეჭდა პირველად, მათ შორის ავტორისათვის უაღრესად საჭირო 28 „საპოლიტიკო მიმოხილვები“.

აკად. ო. გოგიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შეუშინდა ახალ მოზღვავებულ მასალას და უშრეტი ენერგიით შეუდგა მის დამუშავებას. შედეგად, 2016 წლიდან, თითქმის ყოველწლიურად გამოდიოდა „ილია დღეს“ ხუთტომეულის თითო ტომი. მივიღეთ თვისობრივად ახალი გამოცემა, სადაც პრობლემები უფრო ფართოდ, მასშტაბურად, თითქმის ამომწურავად არის გაანალიზებული. მაგალითად, საგანგებოდაა განხილული მართლმადიდებლურ ქრისტიანობასთან ილიას დამოკიდებულება და დასაბუთებულია, რომ დიდი მწერალი იყო მართლმადიდებლური ქართული ქრისტიანობის ერთგული მიმდევარი.

მონოგრაფიების ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება, რაც ნაშრომს თვისობრივად განასხვავებს და უაღრესად საინტერესოს ხდის, ისაა, რომ ილიას ნააზრევი განხილულია იმ დიდი მოაზროვნეების ფონზე, რომელთა მხრებზეც დგას დღეს პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევები: ჯ. ლოკის, ე. ბერკის, ე. კანტის, ფ. ჰეგელის, ა. სმიტის, ჯ.ს. მილის, მ. გლადსტონის, ო. ბისმარკის, ჩ. დარვინის, ჰ. სპენსერის და სხვების, რომელთა ნაშრომებს ილია სისტემატურად იყენებდა და დიდ ავტორიტეტებად თვლიდა. პოლიტიკური მეცნიერების მიწვევების გამოყენებით ააშენა ილიამ თავისი ეროვნული იდეოლოგია, რომელიც პროფ. ო. გოგიაშვილის არგუმენტირებული მტკიცებით, ძირითადი მახასიათებლებით ლიბერალიზმის სულისკვეთებისაა, თუმცა მისი საფუძველი, საყრდენი ერის ტრადიციული ღირებულებებია. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიაც, რომლის მთავარი თეზისი ეროვნული მიზნების მისაღწევად, ყველა საზოგადოებრივი ძალების „ერთ კვალში“ ჩაყენებაა, კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ საფუძველზე დგას, შენობა კი მთლიანად ლიბერალურია.

2. პროფ. ო. გოგიაშვილის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეორე მთავარ მიმართულებას წარმოადგენს რუსულ-ქართული პოლიტიკურ-კულტუროლოგიური ურთიერთობების კვლევა, რომელსაც თანაავტორ დოც. ნ. ფორაქიშვილთან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა. კვლევის პერიოდი იწყება გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა რუსეთის სამეცნიერო, სამეცნიერო-პოლიტიკური, სამხედრო, ჟურნალისტური, კულტურის წრეებიდან დაიწყო მასშტაბური შეტევა ყოველივე ქართულზე — სახელმწიფოებრიობაზე, კულტურაზე, პოლიტიკაზე, ტრადიციებზე, ეროვნულობაზე და ა.შ.

პროფ. ო. გოგიაშვილი თავის კოლეგა ნ. ფორაქიშვილთან ერთად აღმოჩნდნენ ის მეცნიერები, რომლებიც უდიდესი ძალისხმევით, დიდი მასალის მოძიებით საკადრისი პასუხი გასცეს მრავალრიცხოვან ქართველოფობიის რუს (და არარუს) წარმომადგენლებს. გამოიცა ორი მნიშვნელოვანი მონოგრაფია: 1. Безумие и безумцы (незанимательная грузинофобия). Книга первая. ეს მონოგრაფია მთლიანად, ერთი წლის შემდეგ გამოიცა მოსკოვში, გამომცემლობა „Славянский мир“-ის მიერ. 2. „Эпидемия идиотизма (О незанимательной грузинофобии и не только о ней). Книга вторая.სასურველი და სრულიად მისაღებია ის გარემოება, რომ ავტორების მიერ სამუშაო რუსულ ენაზე შესრულდა. იუბილარი გვპირდება, რომ ახლო პერიოდში მკითხველი კიდევ ერთ მონოგრაფიას მიიღებს ახალ ქართველოფობებზე, მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხებით.

ო. გოგიაშვილის ბოლო მონოგრაფია მიძღვნილია იმერეთის ეპისკოპოსის წმინდა გაბრიელისადმი (ქიქოძე), რომელსაც ღმერთი ერს გაუჩენს ხოლმე იმისათვის, რომ განანათლოს და ასწავლოს (ილია).

3. ცალკე აღნიშვნის ღირსია პროფ. ო. გოგიაშვილის დამსახურება პოლიტიკური მეცნიერებების, როგორც ახალი დარგის დამკვიდრების, მისი ინსტიტუციალიზაციის და კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. წლების განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის კათედრას, იყო მისი ინიციატივით შექმნილი პოლიტიკური მეცნიერებების კვლევის ცენტრის დირექტორი, სადისერტაციო საბჭოს (23.00.02 პოლიტიკური ინსტიტუტები და პროცესები) თავმჯდომარე. მას ეკუთვნის ამ სპეციალობებში სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავება, არაერთი ისტორიულ-მეთოდოლოგიური სტატიები, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობა სწავლების საკითხებზე. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრობლემების დამუშავება და გამოცემა, მათ შორის მონოგრაფიის „პოლიტიკური იდეოლოგიები“. მისი ხელმძღვანელობითა და აქტიური ხელშეწყობით დაცულია 10-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, მისი რედაქტორობით გამოცემულია 20-მდე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო კრებულები.

ომარ გოგიაშვილის სამეცნიერო მიღწევები აღინიშნა ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით, თსუ სამეცნიერო და „საგურამოს“ პრემიებით, არჩეულია ცხუმ-აფხაზეთის აკადემიის აკადემიკოსად, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით

ომარ გოგიაშვილი მეცნიერებაში შეტანილი წონადი წვლილისთვის, წარმატებული პედაგოგიური და ზოგადად საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ თავის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად აირჩია.

ქართველი სამეცნიერო საზოგადოება ღირსეულად აფასებს 80 წლის ომარ გოგიაშვილის თავდადებულ შრომას ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მის დიდ საზოგადოებრივ ღვაწლს და გულწრფელად ულოცავს იუბილეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

როდის გახდება ხელმისაწვდომი?!

წამალი, რომელსაც მთელი მსოფლიო იმედით ელოდება

Covid-19-ის სამკურნალო წამალი „მოლნუპრავირი“, რომელიც ამერიკულმა ფარმაცევტულმა გიგანტმა Merck&Co-მ პარტნიორ კომპანია Ridgeback Biotherapeutics-სთან ერთად შექმნა, შესაძლოა, მალე მთელი მსოფლიოსთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

კვლევების შედეგად უკვე დადასტურებულია, რომ „მოლნუპრავირის“ მიღება კოვიდ-ინფიცირებულებში ჰოსპიტალიზაციისა და გარდაცვალების რისკს ამცირებს.

კვლევის შედეგების თანახმად, 775 ზრდასრულ ადამიანში, ვინც „მოლნუპრავირი“ Covid-19-ის სიმპტომების გამოვლენიდან პირველი 5 დღის მანძილზე მიიღო (საჭიროა დღეში 2 აბი), ჰოსპიტალიზაციის და სიკვდილიანობის მაჩვენებელი განახევრდა. ექსპერიმენტში მონაწილეები დაავადების გამწვავების რისკ-ჯგუფში იყვნენ და დასაწყისში, როცა „მოლნუპრავირი“ მიიღეს, Covid-19-ის მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის სიმპტომები აღენიშნებოდათ.

Merck & Co-ს ვიცე-პრეზიდენტის დილ ლის განცხადებით, „მოლნუპრავირმა“ მოლოდინს გადააჭარბა და იმაზე კარგი შედეგები მიიღეს, ვიდრე ელოდ-
ნენ.

* * *

Merck&Co-მ აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციას (FDA) უკვე გადასცა მონაცემები წამლის კვლევების შედეგების თაობაზე და ამჟამად გადაუდებელი გამოყენების ნებართვის მიღების მოლოდინშია.

Merck&Co-მ და Ridgeback Biotherapeutics-მა განაცხადეს, რომ FDA-ში განაცხადის წარდგენის გარდა, ისინი გეგმავენ, მიმართონ სხვადასხვა ქვეყნებს პრეპარატის გადაუდებელ გამოყენების ნებართვისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ FDA-ს პრეპარატის გადაუდებელი გამოყენების ნებართვა ჯერ არ გაუცია, Merck&Co-მ და Ridgeback Biotherapeutics-მა „მოლნუპრავირის“ წარმოება უკვე დაიწყეს.

რა არის „მოლნუპრავირი“

„მოლნუპრავირი“ არის ანტივირუსული აბი, რომლის მიზანია თავიდან აიცილოს Covid-19-ის მძიმე შემთხვევები. მას აქვს კაფსულის ფორმა და მისი მიღება სახლშიც შესაძლებელი იქნება. პრეპარატი კოვიდ-ინფიცირებულებისთვის პირველი სამკურნალო საშუალება იქნება, რომლის მიღებასაც პაციენტები ორალური გზით შეძლებენ.

მედიკოსების ვარაუდით, წამლის დამტკიცების შემთხვევაში უფრო ადვილად გაკონტროლდება კორონავირუსის გავრცელება სუსტი ჯანდაცვის სისტემის მქონე ღარიბ ქვეყნებშიც.

მიუხედავად ამისა, სამედიცინო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინები რჩება პირველადი ინსტრუმენტი კორონავირუსის ბრძოლის წინააღმდეგ, რადგან, მათი შეფასებით, უმჯობესია, ადამიანებმა თავიდან აიცილონ ვირუსი, ვიდრე ინფიცირების შემდეგ იმკურნალონ.

მომაკვდავო ერო და ბერო, გამოვფხიზლდეთ!!!

მრავალ გამოწვევათა შორის, რომელიც საქართველოს, უფრო სწორად კი ქართველებისთვის – როგორც სატიტულო ერისთვის – უდიდეს საფრთხეს შეიცავს, ქვეყანაში შექმნილი კატასტროფული დემოგრაფიული ვითარებაა. იმის გამო, რომ წლების მანძილზე ეს თემა გარკვეულწილად „მოგუდულად“ ქუერდა როგორც მასმედიაში, ასევე ხელისუფლების დერეფნებში, დღესდღეობით სავალალო შედეგს ვიმკით: უკვე წლებია, რაც საუკუნეებგამოვლილი, არაერთი ათასი წლის ისტორიის მქონე ქართველები მსოფლიოში გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარ ხალხთა სავალალო ნუსხაში ვიმყოფებით! მშვიდობით მოსულ უცხოტომელებს არც ჩვენი ისტორიული წარსულის მანძილზე ვერჩოდით რამეს და, ცხადია, არც ახლა ვართ ვინმეს წინააღმდეგი, მაგრამ იმ პირობებში, როცა ქვეყანაში უცხო ეროვნებათა რიცხოვნობა განუხრელად იზრდება, ქართველთა ოდენობა კი წლიდან წლამდე კლებულობს, განგაშის ზარები მთელი ძალით ძალიან დიდი ხნის წინათ უნდა შემოგვეკრა!

ამ უკიდურესად არასახარბიელო ვითარებაში მით უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმედ მიგვაჩნია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ახლახან დაარსებულ სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს პირველ სხდომაზე აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილ საკითხთა მთელი სპექტრის განხილვა. „თანამედროვე დემოგრაფიული ვითარებისა და რეპროდუქტოლოგიის აქტუალური საკითხები საქართველოში“ – ასეთი გახლდათ ახლადშექმნილი საბჭოს საქმიანობის ერთგვარად გამხსნელი სხდომის თემა, ხოლო მისი მთავარი მიზანი, გარდა წმინდა წყლის სამეცნიერო თუ საორგანიზაციო ასპექტების განხილვისა, ამ უკიდურესად მწვავე პრობლემისადმი ხელისუფლების ჯეროვანი ყურადღების მიპყრობა იყო.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი თავდაპირველად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს ვთხოვეთ:



თუკი ქართველი საჯიშეოდაც აღარ დარჩა...

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

– რეპროდუქტოლოგიის პრობლემა საქართველოში, რომ იტყვიან, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ტოლფასია, ვინაიდან, არსებითად, ქართველი ერის მომავალში ფიზიკურად არსებობას ეხება, – თქვა აკადემიის პრეზიდენტმა. – არადა, წლების მანძილზე, პირადად ჩემთვის დღემდე გაურკვეველი მიზეზით, მას ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა. ახლა კი, ჩემი რწმენით, დადგა ის დრო, როცა ქართველი ერის რიცხოვნობის კატასტროფულ შემცირებას ყველა ძალით წინ უნდა აღვუდგეთ. აქვე ხაზგასმით მინდა, კიდევ ერთხელ დავადასტურო ჩემი უდიდესი პატივისცემა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერის მიმართ, მაგრამ, ვფიქრობ, იმისთვის არავინ დამძრახავს, რომ საკუთარი ერის მომავალი მადარდებდეს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ აუცილებელია პრობლემებისადმი სათანადო ყურადღების მიქცევა სახელისუფლებო დონეზე, რეპროდუქტოლოგიის სფეროში სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მეცნიერულად დასაბუთებული მთელი რიგი საჭირო ღონისძიების გატარება!..

* * *

ახალგედა საბჭოს პირველ სხდომაზე განხილულ საკითხებზე დეტალური საუბარი კი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის აკადემიკოსმდივან, სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე **რამაზ ხეცურიანთან** და ამავე საბჭოს განყოფილების სწავლულ მდივან, მედიცინის დოქტორ **ანდრია შილაკაძესთან** განვაგრძეთ.

– ბატონო რამაზ, პირველ ყოვლისა, თუ შეიძლება, სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს ფუნქციების, საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და პირველ სხდომაზე განხილულ საკითხთა შესახებ გვიამბეთ.

– საბჭოს სამოქმედო ასპარეზი მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროებში არსებულ პრობლემათა, აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხთა განხილვა და მათი გადაჭრის გზების დასახვა, სამთავრობო სტრუქტურებისთვის სათანადო კონსულტაციების გაწევაა.

საბჭოს პირველ სხდომაზე განხილულ საკითხთა და მომხსენებელთა უბრალო ჩამონათვალიც კი უაღრესად შთამბეჭდავია და პრობლემის სიმწვავის მიმანიშნებელი. „თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“, „რეპროდუქტოლოგია საქართველოში“, „ინ ვიტრო განაყოფიერება საქართველოში“, „მამაკაცის ფაქტორი უნაყოფობათა და რეპროდუქციულ დანაკარგებში“, „რეპროდუქციის დამხმარე ტექნოლოგიები – სიახლეები და პერსპექტივები“ – ეს სხდომაზე მოსმენილ მოხსენებათა ჩამონათვალია, ხოლო მომხსენებლებს შორის იყვნენ დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე და რეპროდუქტოლოგიასთან დაკავშირებული მედიცინის რამდენიმე მიმართულების წამყვანი სპეციალისტები, სწავლული მედიკოსები, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები **არჩილ ხომასურიძე, ნატალია ხონელიძე, თემურ გაგნიძე, ქეთევან ოსიძე**. მათ და მოწვეულ სტუმართა გარდა, 12 ოქტომბერს გამართული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოს წევრები, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო განყოფილების აკადემიკოსები და საბჭოს სხვა წევრები, რომელთა შორისაა 29 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება – რეპროდუქტოლოგია და ხელოვნური განაყოფიერება საქართველოში კარგად არის განვითარებული, ხოლო ჟორდანიას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტი ერთ-ერთი პირველი იყო ყოფილ სსრ კავშირში, რომელმაც მისი მეცნიერული კვლევები დაიწყო, შემდგომ კი პრაქტიკაში გამოყენებას შეუდგა. სამედიცინო თვალსაზრისით, რეპროდუქტოლოგია სხვადასხვა პროფილის სამუშაოებს საჭიროებს, მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი ე. წ. „ინ ვიტრო განაყოფიერებაა“. ამდენად, ბუნებრივია, რომ ამ საკითხის გარკვეული ასპექტებისა და საქართველოში სადღეისოდ არსებული მდგომარეობის განხილვას სხდომაზე დიდი ადგილი დაეთმო. გარდა ამისა, განვიხილეთ უნაყოფობაში მამაკაცის ფაქტორი და მისი ზეგავლენა რეპროდუქციულ დანაკარგებზე. თემის მომხსენებელმა, საქართველოს ანდროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა თემურ გაგნიძემ საინტერესოდ მიმოიხილა ეს მეტად აქტუალური პრობლემა. საქმის გახლავთ, რომ ამ მხრივ ქართველ მამაკაცებში სადღეისოდ არსებული საერთო სურათი ერთობ საგანგაშოა. კერძოდ, მამაკაცის უნაყოფობაში უაღრესად უარყოფით როლს ასრულებს ტყვიით მოწამვლა, რომლის უმთავრესი წყარო ავტომანქანების ძრავების მუშაობის შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე გამონაბოლქვებია. ამდენად, უნაყოფობის პრობლემა მჭიდრო კავშირშია გარემოს დაბინძურების უმძიმეს საკითხთან, რაც ამ გამოწვევის გასამკლავებლად სახელმწიფო დონეზე კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რეპროდუქტოლოგია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე უკეთესად განვითარებული მიმართულება გახლავთ ჩვენში, ხოლო მისი შესწავლის ფლაგმანია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნილი საქვეყნოდ ცნობილი ჟორდანიას სახელობის მეანობისა და გინეკოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე ხელმძღვანელობს. ამ მიმართულების დამხმარე ტექნოლოგიებში სიახლეებსა და არსებულ პერსპექტივებზე მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა ცნობილმა სპეციალისტმა, კლინიკა „ნოვა – ინ ვიტროს“ დირექტორმა ქეთევან ოსიძემ.

– ბატონო რამაზ, სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს ოფიციალური, ასე ვთქვათ, „დაბადების დღე“ 8 ოქტომბერია, პირველი სხდომა კი 12 რიცხვში გაიმართა. მსოფლიოში მძვინვარე კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში მის მთავარ განსახილველ საკითხად რატომ შეირჩა მაინცდამაინც რეპროდუქტოლოგიის თემა?

– სამწუხარო ამბავია, მაგრამ, როგორც ვიცით, ქართველი ხალხი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ერთა ნუსხაშია შეტანილი და, როგორც მორფოლოგები, ანთროპოლოგები და დემოგრაფები წინასწარმეტყველებენ, თუ ქვეყანაში შობადობის საერთო სურათი უცვლელად დარჩება, 2050 წლისთვის საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ეს ხდება ქვეყანაში მცხოვრები ზოგიერთ სხვა ეროვნებათა ოდენობის განუხრელი მატების პირობებში... ამდენად, ამ შექმნილი საგანგაშო ვითარების რამდენადმე გამოსწორების ერთ-ერთი გზა მედიცინაზე, უფრო ზუსტად კი რეპროდუქტოლოგიის მიგნებათა და ახალი ტექნოლოგიების გაცილებით ფართოდ, ინტენსიურად გამოყენებაზე გადის და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი პირობებით უნდა ხორციელდებოდეს.

ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო: ევროპის ყველა ქვეყანაში ქალის უშვილობა, ანუ შვილის ყოლის უუნარობა, რაც, უმეტესწილად, ორგანიზმში მომხდარი გარკვეული პათოლოგიური ცვლილებების შედეგია, სხვა სახეობის დაავადებებთანაა გათანაბრებული და მათი მკურნალობის საკითხსაც შესაბამისად ანალოგიურად უდგებიან. ჩვენში კი, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. იკითხავთ: განა რას აძლევს ევროპელებს საკითხისადმი ასეთი მიდგომა? იმას, რომ ქალის უშვილობა, სხვა სახეობის დაავადებათა მსგავსად, დაზღვევას ექვემდებარება, სადაზღვევო კომპანიები კი ამაში სათანადო კომპენსაციებს იხდიან. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენში, ამ მხრივ სამედიცინო სამსახურის მუშაობის ხელშესაწყობად თუნდაც ცივილიზებულთან მიახლოებულ რაიმე დონეზე შექმნილი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფდნენ, არ არსებობს. დამეთანხმებით: **ქვეყანაში, სადაც სატიტულო ერის შობადობის უარყოფითი მაჩვენებელია, უპირველესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემისადმი ასეთი მიდგომა, სხვა თუ არაფერი, სრული უაზრობაა!**

არადა, ამ პრობლემის გადაჭრაზე არათუ აღმასრულებელმა თუ საკანონმდებლო ხელისუფლებამ, არამედ თითოეულმა სპეციალისტმა დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ!

რაც შეეხება მის სამედიცინო ასპექტებს, მათ ერთობას თუ განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ მათი ხვედრითი წილი მთლიანად მოსაგვარებელ საკითხთა მთელი მოცულობის მაქსიმუმ 25 პროცენტს შეადგენს, დანარჩენი საჭირბოროტო ასპექტები კი პირველ რიგში საკანონმდებლო, შემდგომ კი ეკონომიკის, განათლების (მათ შორის სამედიცინოსი), სოციალური უზრუნველყოფის, სადაზღვევო და მთელ რიგ სხვა სფეროს განეკუთვნება.

ეს, ვფიქრობ, პრობლემის გადაჭრისადმი უაღრესად ფართო თვალთახედვის კუთხით სახელმწიფოებრივი მიდგომის აუცილებლობის უტყუარი დასაბუთებაა!

– უფრო კონკრეტულად თუ შეგვიძლია ამის შესახებ საუბარი?

– არათუ შეგვიძლია – აუცილებელიცაა! ჩვენი უშუალო მეზობელი ქვეყნების – რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის მაგალითებს თუ ავიღებთ, დავინახავთ, რომ რეპროდუქტოლოგიის მეტად მგრძნობიარე საკითხისადმი მიდგომის მხრივ და პრობლემის გადასაჭრელად, საკანონმდებლო და სახელისუფლებო დონეზე ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული. ჩვენში კი სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა! ვთქვათ, რუსეთში ბოლო 6 თვის მანძილზე არაერთი ისეთი კანონი მიიღეს, რომელიც არამარტო მშობლებსა და ახალშობილებს იცავს, არამედ ქალებს საიმისო სტიმულს უქმნის, რომ შვილები კიდევ და კიდევ გააჩინონ. მეტიც: საგანგებოდ შეიქმნა ფონდი, რომლიდანაც აბორტის გასაკეთებლად მისულ ქალბატონს ამ განზრახვაზე ხელს თუ ააღებინებენ, მასზე ერთჯერადად 3 ათასი დოლარის ეკვივალენტ თანხას გასცემენ, თან პირობას აძლევენ, რომ მისივე სახელდარქმეულ და გვარმიცემულ პირმშოზე აღზ-

მომაკვდავო ერო და ბერო, გამოვფხიზლდეთ!!!

რდას ეკლესია კისრულობს, თანაც შვილთან ურთიერთობაში მშობელს არანაირი დაბრკოლება არ ექნება. აღარაფერს ვამბობ იმის თაობაზე, რომ ახალდაქორწინებულებს სახელმწიფო უსასყიდლოდ ახალ ბინებს გადასცემს, პირველ შვილზე ე. წ. „დედობრივ კაპიტალს“ უქმნიან, გარკვეულ ბონუსს მეორე და მომდევნო შვილების გაჩენაზეც უწესებენ...

შობადობის გასაზრდელად გამიზნული სახელმწიფოებრივი ზომების ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია საიმისოდ, რათა თვალნათლივ დავინახოთ, რომ ჩვენში ამ მხრივ შექმნილი ვითარება არათუ შიშისმომგვრელია, არამედ კატასტროფული!

პირდაპირ ვიტყვი: 12 ოქტომბერს გამართული საბჭოს სხდომის უმთავრესი მიზანი ის გახლდათ, რომ ამ მიმართულებით ერთი, თუნდაც მცირე ნაბიჯი გადაგვედგა წინ და მოგვეთხოვა ხელისუფლებისთვის შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მიზანმიმართულ მოქმედებათა დაწყება და ქმედითი ღონისძიებების გატარება.

* * *

— დემოგრაფიული მდგომარეობის თაობაზე რას იტყვით?

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ არა ყოველკვირეულად და ყოველთვიურად, მაგრამ თუნდაც კვარტალში ერთხელ ჩვენი სწავლული დემოგრაფები სათანადო ინფორმაციით უნდა გამოდიოდნენ საზოგადოების წინაშე და შესაბამის სტრუქტურებს აწვდიდნენ საჭირო ინფორმაციას უმძიმესი მდგომარეობის გამოსასწორებლად მიმართული ღონისძიებების თაობაზე.

კარგად მესმის ისიც, რომ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა ხელის ერთი დაკვრით არ გამოვა და ამას დღენიადაგ რუდუნებით მუშაობა სჭირდება, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დავიწყოთ აქტიური მოქმედება ჩვენივე მომავლის გადასარჩენად?! თორემ განა ვინმესთვის ახალი ამბავია, რომ ბოლო წლებში უკეთესი ბედის ძიებაში ქვეყნიდან გასულ მილიონ(!) კაცში უმეტესობა რეპროდუქტიული ასაკის, რომ იტყვიან, „სანაშენე“ ქართველები არიან?! ამასთან, გარდა წმინდა წყლის სამედიცინო ასპექტებისა, რეპროდუქციულ საკითხზე უაღრესად უარყოფითად აისახება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მეტად არასახარბიელო ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც ბევრი ახალგაზრდა წყვილი თავს იკავებს შვილის გაჩენისგან.

— ხელოვნური განაყოფიერების საკითხს უფრო მეტად რომ ჩავუღრმავდეთ, უშუალოდ სამედიცინო თვალსაზრისით რა პრობლემები არსებობს?

— უკაცრავად კი ვარ, რადგან ზოგ მკითხველს შეიძლება არ მოეწონოს ჩემი ნათქვამი, მაგრამ ისევ რუსეთისა და აზერბაიჯანის მაგალითს მივუბრუნდები: ინ ვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებით რუსეთში არსებულ კანონში შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ(!). კერძოდ, სულ ახლახან ჯანდაცვის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით რეგულირდება ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხი — სად უნდა ჩატარდეს ეს პროცედურა, როგორი აპარატურით უნდა იყოს აღჭურვილი კლინიკა, რა კომპეტენციის პერსონალმა უნდა ჩაატაროს ის, რა წამლები უნდა იქნას გამოყენებული, როგორ უნდა გამოიყენონ პრეპარატები, რა პირობებში უნდა ხდებოდეს მათი შენახვა და ათასი სხვა რამ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ, როცა ქალბატონების ხელოვნური განაყოფიერების პროცედურისთვის მზადება მიმდინარეობს, დაახლოებით ორი კვირით ადრე მათ უტარდებათ ჰორმონული თერაპია ე. წ. „დარტყმითი დოზებით“. ეს ძალიან ძლიერი მეთოდია, რომლის გამოყენების შედეგად ქალის ორგანიზმი უაღრესად დიდი დოზით იღებს ჰორმონებს და თუ მანამდე ერთი-ორი ფოლიკული უნდა მომწიფებულიყო, ამის წყალობით ერთდროულად მწიფდება 15-20 ფოლიკული, რომელთა ჭარბ ოდენობას გარკვეული პირობების დაცვით ინახავენ სათანადო ბანკში და სურვილის არსებობის შემთხვევაში, მომდევნო განაყოფიერებისას იყენებენ. საგანგებოდ იმასაც ვიტყვი, რომ ჰორმონების ფასი ძალიან მაღალია და ჩვენში 8 ათას ლარს შეადგენს.

აქვე აუცილებლად მინდა, აღვნიშნო ისიც, რომ ამ საკითხს უამრავი წახნაგი, მათ შორის, ვთქვათ იურიდიული, ეთიკური და ა. შ. აქვს, რომელთა გაუთვალისწინებლობა არაფრით არ შეიძლება. ამიტომაცაა სწორედ, რომ აღნიშნული ბრძანების ტექსტი დაახლოებით 75 გვერდს მოიცავს!

— ეს საკითხი უცხოეთში როგორ რეგულირდება, რას აკეთებენ ამ სფეროს მოსაწესრიგებლად სხვა ქვეყნებში?

— თითქმის მთელ მსოფლიოში, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც ხელოვნური განაყოფიერება ამა თუ იმ დონეზეა საჭირო, ინ ვიტროს პირველ პროცედურას მაინც სახელმწიფო აფინანსებს, თუმცა კი ზოგან ის მეორე და მესამე ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის ანაზღაურებასაც კისრულობს.

— რა ოდენობის თანხაზეა ლაპარაკი ამ შემთხვევაში?

— ამჟამად საქართველოში ხელოვნური განაყოფიერების პროცედურის ღირებულება დაახლოებით 12-14 ათასი ლარია, რაც ევროპის ქვეყნების ყველაზე დაბალი ფასია. ამისთვის დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩვენში არსებულ ორ ათეულამდე რეპროდუქციულ ცენტრსა და შესაბამისი კლინიკების მესვეურთ, რომლებიც მინიმალური ფასის დადგენით შვილის ყოლის მსურველებს მიზნის მიღწევაში შესაძლო მხარდაჭერას უწევენ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელოვნური განაყოფიერების ყველა პირველი ცდა ხშირად არ არის წარმატებული, რის გამო საჭირო ხდება პროცედურის მეორედ და ხანდახან კიდევ რამდენჯერმე გამეორება, რაც, ცხადია, ფინანსურ ხარჯს საგრძნობლად ზრდის. სწორედ ამიტომაა, რომ წლების წინ ამ მიზნით საქართველოში უამრავი უცხოელი ჩამოდიოდა, ბოლო დროს მათი რიცხოვნობა კი შემცირდა პანდემიის და ლოკდაუნების გამო, თუმცა კი მსურველთა ნაკადი მაინც მეტად სოლიდურია. იმასაც მოგახსენებთ, რომ ხელოვნური განაყოფიერების პირველ სამ ცდას საფრანგეთში სახელმწიფო აფინანსებს, ხოლო თითოეული პროცედურის ღირებულება იმდენად მაღალია, რომ მეოთხე ცდაზე ბევრი იქაური ქალბატონი უკვე საქართველოში ჩამოდის.

— საბჭოს მიზანი და სპეციალისტთა მისწრაფებები სავსებით გასაგებია, მაგრამ მთავარი მაინც ხომ ისაა, თუ რა გზას უნდა დავადგეთ კონკრეტულად საქმის მკვდარი წერტილიდან დასაძრავად?

— საბჭოს სხდომის შედეგებისა და ჩვენ ხელთ არსებული სხვა მონაცემების საფუძველზე, ამჟამად **საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით მთავრობისთვის წარსადგენად ვამზადებთ შესაბამის დოკუმენტს, რომელშიც გამოვთქვამთ ხელისუფლებისადმი ჩვენს რჩევებს. პირველ ეტაპზე, ვფიქრობთ, იმის შესახებ გვეძნება ლაპარაკი, რომ ხელოვნური განაყოფიერების პირველი პროცედურის დაფინანსება მაინც სახელმწიფო ხარჯით ხდებოდეს.**

პრობლემის მასშტაბის შესახებ გარკვეული შთაბეჭდილება რომ შეგექმნათ, ვიტყვი, რომ მარტო ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის გამოყენებით ათი ათასი ბავშვი იბადება, ხოლო მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ჩასახვის ამ ხერხს ვიყენებთ, დაახლოებით 70 ათასი ბავშვი გაჩნდა! ეს კი, ფაქტობრივად 35 ათას ბედნიერ ოჯახს ნიშნავს, და განა ეს პატარა ამბავია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი კეთილი მომავლისთვის?! განა სახელმწიფოს მიმართ ამ უდიდეს საქმეში ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ხელოვნური განაყოფიერების ხარჯის გაწევის ვალდებულების აღება არ არის ჩვენი მხრიდან ობიექტური მოთხოვნა?!

მით უმეტეს ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინათ რეპროდუქტოლოგიის შესახებ კანონი პარლამენტში განსახილველადაც კი იყო შეტანილი, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს პროცესი გადაიდო. ამდენად ახლა მისი განახლება, ჩასწორება-შევსება და სამსჯავროზე გამოტანა დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს.

— დღეს საქართველოში დაახლოებით ასი ათასი უშვილო წყვილია, რომელთაც თუ არა ხელოვნური განაყოფიერების გზით, საკუთარი შვილის გაჩენის სხვა არანაირი პერსპექტივა არა აქვს, — ამბობს საბჭოს განყოფილების სწავლული მდივანი, მედიცინის დოქტორი **ანდრია შილაკაძე,** როცა ვთხოვ აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმას. — ყველაფერთან ერთად, რეპროდუქტოლოგიის საკითხთა შესახებ ინფორმაცია აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს არა მარტო უშუალოდ მედიკოსებისთვის, არამედ საზოგადოებრიობის დაინტერესებული წევრებისთვისაც. ასევე შესაქმნელია ერთიანი რეპროდუქციული ბაზა, რომელიც ასახავდა ქვეყნის მხარეებში ამ მხრივ არსებულ რეალურ სურათს. კიდევ აუცილებელია სათანადო დონორთა ბანკის დაფუძნება, მოსაგვარებელია მამაკაცის სპერმის გაყიდვასთან დაკავშირებული საკითხები, განსასაზღვრია ერთიანად რეპროდუქტოლოგიის პროცესის წარმართვის იურიდიული, სამედიცინო, ეთიკური ნორმები და რეგულაციები, რომელთა საფუძველზე მოხდება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების კონტროლი, რომელიც ამჟამად, ფაქტობრივად, არ არსებობს.

დაბოლოს, ალბათ, იმის თქმაცაა აუცილებელი, რომ რეპროდუქტოლოგიასთან დაკავშირებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხის დასაზუსტებლად, სამედიცინო სასწავლებლებში ამ დისციპლინის სწავლების გაძლიერებაა საჭირო, რისთვისაც აუცილებელია სათანადო მეთოდოლოგიის შემუშავება და სახელმძღვანელოების შექმნა, აუცილებელია ქვეყანაში უშვილობის პრობლემასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევების ჩატარება — ასეთი რამ ბოლოს მხოლოდ 2010 წელს განხორციელდა, თანაც მაშინ ის მარტო ქალბატონებს შეეხო და ისე გამოვიდა, თითქოს გამრავლების საქმეში პრობლემები მხოლოდ მათი გამოისობითაა, ხოლო მამაკაცები „არაფერ შუაში არიან“.

* * *

ვტოვებ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და დიდი იმედი მაძვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მეცნიერები აუცილებლად შეიმუშავებენ და ძვეყნის მთავრობაში წარადგენენ სათანადოდ დასაბუთებულ რჩევებს და ღონისძიებათა ნუსხას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ერთობლივი ძალისხმევის შედეგად თავიდან ავიცილოთ ახლო მომავლის ეს მრისხანე მუქარა — საქართველო მომაკვდავ ერთა ნუსხაში!.

ესაუბრა

ოთარ ტურაბელიძე

◎ წერილი რედაქციას

კოვიდინფიცირებული კაცის სამადლობელი

ხელოვნურად შექმნილ ვერაგ ავადმყოფობას, რომელიც, სამწუხაროდ, უამრავი ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ვერც მე გადავურჩი. თხუთმეტი დღის განმავლობაში ვიმყოფებოდი ალადაშვილის სახელობის თბილისის კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც უმძიმესი დღეები გამოვიარე.

გულახდილად ვამბობ, რომ თუ არა საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის ჭეშმარიტად გმირული საქმიანობა, ბევრი ადამიანის სიცოცხლე საბედისწეროდ შეიძლებოდა დასრულებულიყო. დილიდან მეორე დილამდე ყველანი — ექიმებიც და ექთნებიც — გამართული საათის მექანიზმივით მუშაობდნენ, ნამდვილი ფრონტის წინა ხაზზე იყვნენ. კლინიკაში ყოფნისას ხშირად მიფიქრია, განა როგორ შეიძლება ასეთი თავგამოდებული პროფესიონალები კაცმა უდიდესი მადლიერების გრძნობით არ დალოცო!

მას შემდეგ, რაც დრო გავიდა და ვერაგმა სენმა უკან დაიხია, როცა ნელ-ნელა ვუბრუნდები ცხოვრების ჩვეულ დინებას, გადავწყვიტე ჩემი საყვარელი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ალადაშვილის კლინიკის ხელმძღვანელობას, მთელ სამედიცინო პერსონალს და, რასაკვირველია, მკურნალ ექიმებს ლიკა ბირკაძესა და მაკა წყალობაშვილს გამორჩეული პროფესიონალიზმისა და გულითადობისთვის.

დემიკო ლოლაძე,

საპატიო თბილისელი.

რა (არ) თქვა ოსტინმა?!

თავდაცვის მდივნის ვიზიტის პრაქტიკული შედეგები

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა, რომელიც საქართველოს ევროპული ტურნეს ფარგლებში სტუმრობდა, ქვეყანაში თავისი პირველი ვიზიტი დაასრულა და მნიშვნელოვან ინიციატივასთან ერთად, რამდენიმე ასევე მნიშვნელოვანი გზავნილი დატოვა:

- **საქართველო და აშშ იწყებენ „საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივას“ (GDDEI);**
- **ამერიკელმა მინისტრმა მოსკოვს თბილისიდან 2008 წლის ომის შემდეგ დაკისრებული ვალდებულებები შეახსენა და არაერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი აშშ-ის მხარდაჭერას;**
- **მინისტრმა ისაუბრა საქართველოს დემოკრატიული განვითარების აუცილებლობაზე;**
- **ოსტინმა რეგიონს აშშ-ისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი უწოდა, ისაუბრა უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობებზე და მკაფიო პოზიცია ჩამოაყალიბა „ექვსწევროვან ფორმატთან“ მიმართებაში.**

„ვიტყოდი, რომ ეს ვიზიტი წარმატებული იყო, შედეგები ხელშესახებია და ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოვიყენებთ“, — ამბობს „აქცენტთან“ თემის კომენტირებისას საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის უფროსი მეცნიერ-მკვლევარი თენგიზ ფხალაძე.

რას გულისხმობს ახალი ინიციატივა...

„საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა“ არის უსაფრთხოების სფეროში ამერიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალი ინიციატივა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების შემდგომ მოდერნიზაციას და განვითარებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის ცნობით, „საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა“ იქნება უსაფრთხოების სფეროში ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლობის მრავალწლიანი ინვესტიცია, რომელიც დაიწყება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) დასრულებისთანავე.

GDDEI შედგება ორი კომპონენტისგან:

- ერთი ყურადღებას გაამახვილებს ორგანიზაციულ ცვლილებაზე თავდაცვის სექტორში ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩამოყალიბების კუთხით;
- მეორე — მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაძლიერებას წვრთნებსა და კომბინირებულ სამხედრო ოპერაციებში ბრიგადების ჩართვით, რაც აუცილებელია ტერიტორიული თავდაცვისთვის.

„საქართველოს თავდაცვისა და შეკავების გაძლიერების ინიციატივა“ მიზნად ისახავს, შეკავებისა და ტერიტორიული თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებით, ხელი შეუწყოს ნატოსთან თავსებადობას, ინსტიტუციურ რეფორმებსა და მოდერნიზაციას.

აშშ ასევე აანონსებს, რომ გააგრძელებს ერთობლივ სამხედრო სწავლებებს და საზღვაო ვიზიტებს.

ერთ-ერთ პრაქტიკულ და მნიშვნელოვან შედეგად თენგიზ ფხალაძე სწორედ აღნიშნულ მემორანდუმს ასახელებს და დარწმუნებულია, რომ **„ის მაქსიმალურად შეუწყობს ხელს არა მხოლოდ საქართველო-ამერიკის თანამშრომლობას, არამედ საქართველოს ნატოში შემდგომ ინტეგრაციას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, რაც მთავარი ამოცანაა საქართველოსთვის, მის წინაშე არსებული ყველა საფრთხისა და გამოწვევის გათვალისწინებით“.**

ამასთან, ფხალაძე ელის, რომ ოსტინის ვიზიტის შედეგებს ქართველი საზოგადოება მას შემდეგაც იხილავს, როდესაც ოსტინი ევროპულ ტურნეს ბრიუსელში დაასრულებს, სადაც მას თავის ნატოელ კოლეგებთან აქვს დაგეგმილი შეხვედრა:

„დარწმუნებული ვარ, ამ შეხვედრაზე შავი ზღვის უსაფრთხოების თემა სერიოზულად წამოიწევს წინა პლანზე და ხაზგასმული იქნება მისი მნიშვნელობა“.

არის კი ინიციატივა თანაწონადი საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების?

„იმ ვითარების თანაწონადი, რომელშიც ვიმყოფებით, ერთადერთია — საქართველოს ნატოში გაწევრიანება, ან შესაძლოა, პირობითი ალტერნატივა იყოს, საქართველოს-აშშ-ს შორის იმ ტიპის შეთანხმების მიღწევა, რომელიც სადღეისოდ აშშ-ისრაელს აქვთ. ჩვენ ამჟამად ამგვარი შედეგი არ გვაქვს, მაგრამ GDDEI მის მისაღწევად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია და სწორად უნდა გამოვიყენოთ. თავდაცვის მდივანმაც ვრცლად ისაუბრა ამ საკითხზე, ხაზი გაუსვა რა არა მხოლოდ თავდაცვითი და შეიარაღებული ძალების კომპონენტს, არამედ, მათ შორის, ისაუბრა დემოკრატიის კონტექსტში ქვეყნის წინსვლის აუცილებლობაზე“, — ამგვარად პასუხობს კითხვას ანალიტიკოსი.

რა (არ) თქვა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა არ უპასუხა ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვას, უკავშირდება თუ არა მისი ვიზიტი რეგიონში მომატებულ საფრთხეს და რა გზავნილია ეს რუსეთისთვის? თუმცა არაერთგზის აღნიშნა, რომ აშშ ურყევად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თქვა ისიც, რომ რეგიონი კრიტიკულად მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის, რუსეთს შეახსენა 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა და მკაფიო პოზიცია ჩამოაყალიბა „3+3“ ფორმატთან მიმართებაში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის ამასწინანდელი კომენტარით გაჩენილი შეშფოთებისა და ეჭვების ფონზე.

ინფორმაციისთვის: „3+3“ (იგივე „ექვსწევროვანი“ — საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი, ირანი) ფორმატი, როგორც დაანონსდა, რეგიონის კონფლიქტების გადაჭრაზე, ეკონომიკური კავშირების გახსნასა და განვითარებაზე უნდა ორიენტირდეს. თუმცა, როგორც არაერთი ექსპერტი თვლის, ის რეალურად, რეგიონის დასავლეთისგან, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებისგან „ჩაკეტვას“ ისახავს მიზნად და საქართველოს მარტოდ დატოვებს ოკუპანტ სახელმწიფოსთან პირისპირ.

ანალიტიკოსის დაკვირვებით, იმ ფონზე, როდესაც რუსეთი საქართველოზე პარტნიორებისგან წნეხის გაზრდას მაქსიმალურად ცდილობს, სტრატეგიული პარტნიორისგან „შემოხიდება“ ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ეს მხარდაჭერა მივიღეთ: **„მნიშვნელოვანი იყო ის, რაც მკაფიოდ თქვა და ისიც, რაც ბოლომდე არ უთქვამს: ვიზიტი განხორციელდა იმ ფონზე, როდესაც ჩვენს რეგიონში „ტემპერატურა“ საკმაოდ მაღალია, როდესაც რუსეთი რეგიონში სერიოზულად ძლიერდება. ამ ვითარებაში საქართველოს დაცულობაზე საუბარი ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე დროული და მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი გზავნილები. იმავდროულად, ძალიან საგულისხმოა „3+3“—თან დაკავშირებული მკაფიო გზავნილი: რომ ვიდრე რუსეთი ახალ ფორმატებზე დაიწყებს საუბარს, უნდა შეასრულოს 2008 წლის შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაიყვანოს საკუთარი ჯარები. თეორიულად, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ სხვა საკითხებზე. განვმეორდები, ეს იყო დროული, სწორი, არაორაზროვანი, მკაფიო გზავნილი, რომელიც ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა“.**

მნიშვნელოვანი გარემოება: ცნობილია, რომ ხსენებული ფორმატის საჭიროების შესახებ თურქეთის პრეზიდენტის მიერ გაჟღერდა, თუმცა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა სწორედ რომ რუსეთზე გაამახვილა ყურადღება.

„სწორედ ეს დეტალია მნიშვნელოვანი: ერთია, ვისგან მოდის ინიციატივა და მეორე, რეალურად ვინ დგას ამ ყველაფრის უკან. ჩვენ კი გვესმის, რომ ფორმატი ყველაზე მეტად სწორედ რუსეთს აძლევს ხელს. ამდენად, ამ გარემოებების გათვალისწინებითაა მნიშვნელოვანი აშშ-ის თავდაცვის მინისტრის გზავნილი, რომ საქართველომ თავი მარტოდ, ძლიერი მხარდაჭერის გარეშე არ იგრძნოს და ჩვენ ეს მხარდაჭერა ოსტინის მკაფიო განცხადების სახით მივიღეთ. დარწმუნებული ვარ, ეს თემა მხოლოდ განცხადებით არ უნდა შემოიფარგლოს: მას სხვა ქმედითი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. ერთ-ერთი მსგავსი ნაბიჯია თავდაცვის უწყებებს შორის გაფორმებული შეთანხმება. მაგრამ დიდი იმედი მაქვს, გადაიდგმება სხვა ნაბიჯებიც, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ჩვენს ჩართულობას გააძლიერებს“, — დასძენს ანალიტიკოსი.

შავი ზღვის უსაფრთხოება

რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ, რუსეთმა მნიშვნელოვნად შეცვალა სამხედრო ძალთა ბალანსი შავ ზღვაში, რაც ნატოს შეშფოთებას იწვევს.

ამასთან, ყარაბაღში განვითარებული მოვლენების შემდეგ, კიდევ უფრო ძლიერდება კრემლის გავლენა კავკასიის რეგიონში. ამ ფონზე საქართველოსთვის კიდევ უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ცივილიზებული სამყაროს ინტერესი რეგიონის მიმართ და შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ქვეყნის სრულფასოვანი ჩართულობა, მისთვის ფუნქციური როლის გამოკვეთა. სწორედ ხსენებული გარემოების გათვალისწინებითაც ფასდებოდა მნიშვნელოვნად აშშ-ის თავდაცვის მდივნის საქართველოში ვიზიტი: როგორც უკვე აღინიშნა, ის ტურნეს ნატოელ კოლეგებთან შეხვედრით ასრულებს და არის მოლოდინი, რომ განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოსთვის არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი იქნება, მით უფრო, რომ ნატომ უკვე მომავალ წელს უნდა დაამტკიცოს საკუთარი 10-წლიანი სტრატეგია.

„საქართველოს მართლაც უნიკალური როლი აქვს, რომლის შესრულებაც მხოლოდ მას შეუძლია მისი მდებარეობიდან გამომდინარე: შავი ზღვის უსაფრთხოება ევროატლანტიკურ სივრცეს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის ესაჭიროება, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის უსაფრთხოება კი საქართველოს უსაფრთხობის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ამ დერეფანს ემუქრება რუსეთი.

დემოკრატიული, განვითარებული საქართველო მიიღებს მეტ დაცულობას, შესაბამისად, უფრო ძლიერ როლს საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტში და სწორედ ეს იყო თავდაცვის მდივნის გზავნილი“.

ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ყველაზე დაბალ ნიშნულზეა

ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსს კვლავ სჭირდება რუსეთთან დიალოგი მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ალიანსში თავისი დიპლომატიური მისიის მუშაობა შეაჩერა. **„ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ახლა ყველაზე დაბალ ნიშნულზეა ცივი ომის დასრულების შემდეგ. ჩვენთვის ეს რეალურად არ არის იმის არგუმენტი, რომ დიალოგის წინაალმდეგ გამოვიდეთ“,** — აღნიშნა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

18 ოქტომბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი ნატოს შტაბინაში თავისი წარმომადგენლობის მუშაობას აჩერებს.

სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვში ნატოს საინფორმაციო ბიურო ასევე შეაჩერებს მუშაობას. 6 ოქტომბერს, ნატომ ალიანსში რუსეთის მისიის 8 დიპლომატი გააძევა. რუსეთის მავნე საქმიანობის საპასუხოდ, ნატომ გადაწყვეტილება მიიღო ალიანსში რუსეთის მისიის წარმომადგენლობა გაანახევროს. 8 დიპლომატს, რომლებიც დაზვერვის ოფიცრებად მიიჩნევიან, მისიის დატოვება მოსთხოვეს.



როგორც იქნა...

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა იქორწინა. მიშელის რჩეული ამელია დერბაურგენდენია, რომელთანაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ორი შვილი ჰყავს.

წყვილს დაქორწინება გასულ წელს ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ურთიერთობის ოფიციალური გაფორმება პანდემიის გამო გადაიდო.

ტრამპი არ ნებდება

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სოციალური მედიის საკუთარი პლატფორმა TRUTH Social-ი დააანონსა. თქვენი საყვარელი პრეზიდენტი კი გააჩუმეს. ეს მიუღებელია“, — განაცხადა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა.

დონალდ ტრამპის თქმით, მისი და მისი გუნდის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი საკმაოდ კონკურენტული იქნება და ბევრი მომხმარებელი ეყოლება. TRUTH Social-ი მომდევნო თვიდან მხოლოდ მოწვეული სტუმრებისთვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ფართო საზოგადოება სოციალური ქსელით სარგებლობას 2022 წლის პირველ კვარტალში შეძლებს.

ჯო ბაიდენი შეშფოთებულია



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ჩინეთის ზებგერითი რაკეტით შეშფოთებულია. თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯენ ფსაკიმ აღნიშნა, რომ ვაშინგტონმა პეკინს აღნიშნულ საკითხზე შეშფოთება დიპლომატიური არხების საშუალებით დაუფიქსირა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჩჟაო ლიცზიანმა ახალი ზებგერითი რაკეტის გამოცდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. ჩინეთის საგარეო უწყებაში აღნიშნეს, რომ აგვისტოში ჩინეთმა მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდი გამოსცადა. გამოცემა The Financial Times-მა ინფორმაცია გაავრცელა, რომ ჩინეთმა ახალი ბირთვული შესაძლებლობების ზებგერითი რაკეტა გამოსცადა. წყაროების ინფორმაციით, რაკეტამ სამიზნის მიღწევამდე დედამიწას დაბალ ორბიტაზე შემოუარა.



ნავალნი სახაროვის სახელობის პრემიის ლაურეატია

ევროპარლამენტმა სახაროვის სახელობის პრემიის ლაურეატად რუსი ოპოზიციონერი, ალექსეი ნავალნი დაასახელა.

„ევროპარლამენტმა ალექსეი ნავალნი სახაროვის სახელობის პრემიის გამარჯვებულად აირჩია. ის თანმიმდევრულად ახორციელებდა კამპანიას ვლადიმერ პუტინის რეჟიმის კორუფციის წინააღმდეგ და სოციალური მედიისა და პოლიტიკური კამპანიების მეშვეობით ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები გამოავლინა. ამისათვის ის მოწამლეს და ციხეში ჩასვეს. ალექსეი ნავალნისთვის სახაროვის სახელობის პრემიის მინიჭებისას ჩვენ ვაღიარებთ მის უზარმაზარ პიროვნულ სიმამაცესა და კვლავ ვაცხადებთ, რომ ის დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ“ — განაცხადა ევროპარლამენტის პრეზიდენტმა, დავიდ სასოლიმ. საბჭოთა მეცნიერისა და დისიდენტის ანდრეი სახაროვის სახელობის საპატიო ჯილდო 1988 წლიდან ადამიანის უფლებადამცველ აქტივისტებსა და დისიდენტებს გადაეცემათ.

ბელარუსს ადანაშაულებენ

პოლონელმა მყვინთავებმა ბელარუსი-პოლონეთის საზღვარზე, მდინარეში 19 წლის სირიელი ლტოლვილის ცხედარი იპოვეს. საზღვრის დაცვის სამსახური მამაკაცს სამშაბათიდან, მას შემდეგ ეძებდა, რაც მასთან ერთად თანმხლებმა პირმა განაცხადა, რომ ბელარუსის მხრიდან სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებმა ისინი მდინარე ბუგში ჩაყარა.

პოლონეთის, ლიეტუვისა და ლატვიის მხარე აგვისტოს შემდეგ არალეგალი მიგრანტების მზარდი ნაკადის შესახებ იუწყებიან. ევროკავშირი მინსკს მიგრანტების ევროკავშირის საზღვართან გამიზნულად გადამისამართებაში ადანაშაულებს და უახლოეს მომავალში სანქციების გამკაცრებასაც არ გამორიცხავს.

საქართველოს საპატრიარქო „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ წინამძღოლს თბილისში იწვევს

საქართველოს საპატრიარქო „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ წინამძღოლს, მამა ბესარიონს (აფლიას) თბილისში იწვევს, — ამის შესახებ, აფხაზური მედიის ინფორმაციით, ნათქვამია რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებისადმი მიმართვის საპასუხო წერილში, რომელიც მამა ბესარიონმა თბილისიდან მიიღო. საპასუხო წერილის ავტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მდივანი მიხეილ ბოტკოველია.

„გაცნობებთ, რომ გავეცანით საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებისადმი თქვენს მიმართვას. მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიულად არ ვეთანხმებით მის შინაარსსა და სულისკვეთებას, ვაცნობიერებთ დიალოგის დაწყების აუცილებლობას. მოგეხსენებათ, მტერი ყოფს, მაგრამ ღმერთი აერთიანებს. ამდენად, ვთვლით, რომ უფრო სასარგებლო იქნებოდა ამ თემაზე თქვენ თბილისში შეგხვედრილიყავით და პრობლემური საკითხები პირისპირ განგვეხილა“, — ნათქვამია, აფხაზური მედიის ინფორმაციით, აფლიასადმი ბოტკოველის წერილში. ცნობისთვის: რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებისადმი ამასწინანდელ მიმართვაში „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ საეკლესიო საბჭო „აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში საქართველოს საპატრიარქოს არაკანონიკურ უფლებამოსილებაზე“ საუბრობდა.

„1992 წელს, ისტორიული და კანონიკური სიმართლის საწინააღმდეგოდ, მსოფლიო პატრიარქმა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ტომოსი გასცა და აფხაზეთი ქართული ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის ნაწილად განსაზღვრა. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ შედიოდა ქართულის შემადგენლობაში და აღიდგენს თავის — აფხაზური კათოლიკოსატის სტატუს“, — ნათქვამი იყო მიმართვაში.

მასში აღნიშნული იყო ასევე, რომ „XIX საუკუნიდან რუსული ეკლესია კავკასიაში მართლმადიდებლობას აღორძინებ“. **„მოველით, რომ მისი დახმარებით აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია მიაღწევს დამოუკიდებლობის კანონიკურ აღიარებას. ვაცხადებთ, რომ არ გვსურს ძმური სულიერი კავშირი მათთან, ვინც სახარებისეული სიმართლის საწინააღმდეგოდ, აფხაზეთს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის ნაწილად მიიჩნევს. აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია მოუწოდებს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანსა და ეკლესიას, განიხილონ ჩვენი ეკლესიის კანონიკური სტატუსი მართლმადიდებლური კანონიკური სამართლის საფუძველზე“,** — ნათქვამი იყო მიმართვაში.

მიმდინარე წლის თებერვალში ბესარიონ აფლიამ განაცხადა აფხაზეთში ღვთისმსახურების შეწყვეტის შესახებ, სანამ „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ სტატუსის საკითხი არ გადაიჭრებოდა. თუმცა ღვთისმსახურება მალევე აღდგა, მამა ბესარიონმა კი განმარტა, რომ რუსეთის საპატრიარქო „აფხაზურ ეკლესიას ავტონომიური სტატუსის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა“.

საქართველოს საპატრიარქომ მაშინ შეახსენა ბესარიონ აფლიას, რომ თავის დროზე იგი სწორედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ იყო ხელდასხმული და შესაბამისად, ქართული ეკლესიის წარმომადგენელია. ცნობისთვის: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი, მოსკოვის საპატრიარქოს ჩათვლით, აფხაზეთს თავის კანონიკურ ტერიტორიად მიიჩნევს. 1992-1993 წ.წ. შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ქართველ სასულიერო პირებს აფხაზეთის ტერიტორიაზე წვდომა აღარ აქვთ. ერთადერთი გამონაკლისი სწორედ ბესარიონ აფლიაა, რომელიც თავის დროზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ იყო ხელდასხმული და შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ცხუმ-ბიჭვინთის ეპარქიას ჩაუდგა სათავეში. მოგვიანებით ეს ეპარქია „აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიად“ დაარეგისტრირეს. თავად ბესარიონი აფხაზური ეკლესიის მმართველად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს მიიჩნევს.

აფხაზეთში დარეგისტრირებულია ასევე მეორე მართლმადიდებლური ორგანიზაცია — „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია“ ცენტრით ახალ ათონში. მისი ჩამოყალიბება იქცა რეაქციად რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მცდელობაზე, ახალი ათონის მონასტრისთვის წინამძღოლი რუსეთიდან დაენიშნა. მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირები მამა დოროთეს (დბარის) თაოსნობით აფხაზეთის საეკლესიო საკითხს დაურეგულირებლად მიიჩნევენ და ადგილობრივი მორწმუნეების სახელით კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიმართავენ თხოვნით, პრობლემა მართლმადიდებელთაშორისი კომისიის სხდომაზე გადაჭრას.

გარკვეულ მომენტში საქართველოში დროებით ზომად აფხაზეთის კონსტანტინოპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში გადაცემის საკითხი განიხილებოდა. ამ ინიციატივით გამოდიოდა, კერძოდ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის ექს-მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. თუმცა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც თავის საგარეო საეკლესიო პოლიტიკაში ხშირად მოსკოვის საპატრიარქოს პოზიციებს იზიარებს, ეს ინიციატივა უარყო. აფხაზეთის ორ მართლმადიდებელ თემს შორის პერიოდულად დაძაბულობა იზრდება „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ მოთხოვნის გამო, „წმინდა მიტროპოლიამ“ ახალი ათონის მონასტერი მას გაუთავისუფლოს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნატალია ბაქრაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნატალია ბაქრაძე (პ/ნ 01003017334), თბილისი, გლდანი, 5 მ/რ, კორპუსი 8ა

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, გლდანი, 5 მ/რ, კორპუსი 8ა (საკადასტრო კოდი: 01.11.10.013.026.04.501).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 46469.74 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 22 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 5 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP74709821;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 747098

6. **მოვალე:** ნატალია ბაქრაძე (პ/ნ 01003017334), თბილისი, გლდანი, 5 მ/რ, კორპუსი 8ა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP74709821; ლოტის ნომერი: 747098).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 5 ნოემბრის 10:00 საათამდე.

◎ ოკეანის გალმა

„ცირკი“ დაიწყო



მაშ ასე, ნბა-ში მეექვსე ქართველის ფურცელი გადაიშალა სანდრო მამუკელაშვილის სახით, რომელიც ვლადიმერ სტეფანიას, ნიკოლოზ ცქიტიშვილის, ზაზა ფაჩულიას, თორნიკე შენგელიასა და გოგა ბითაძის გაკვალულ ბილიკს შეუყვა.

ეს ახალი სეზონის რეგულარული ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრაში მოხდა და, მართალია, მოქმედი გვირგვინოსნის — „მილუოკის“ დებიუტანტმა მის კარიერაში საეტაპო მოვლენა მოკრძალებული პირადი მონაგრით — 7 წუთში მოგროვებული მხოლოდ 1 მოხსნითა და 1 პასით აღნიშნა, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ გუნდის მწვრთნელთაგან ნდობის გამოცხადების შემთხვევაში მალე შეთამაშდება პარტნიორებთან და ვარსკვლავური ანსამბლის ღირსეულ წევრად ჩამოყალიბდება.

რაც შეეხება თვით მატჩს, „ბაქსმა“ მართლაც საჩემპიონო თამაშით დათრგუნა არანაკლებ ამბიციური „ბრუკლინი“ — 127:104, რომელსაც ანტივაქსერი ირვინგი აკლდა.

ყველაზე შედეგიანები: ანტეტოკუნპფო — 32 ქულა, 14 მოხსნა, მიდლტონი — 20 ქულა („მილუოკი“); დურანტი — 32 ქულა, 11 მოხსნა, მილსი — 21 ქულა, ჰარდენი — 20 ქულა (ნეთსი“).

დღის მეორე ბრძოლაში სამმაგი დუბლით გაიბრწყინა „გოლდენ სტეიტის“ ლიდერმა სტეფ კარიმ — 24 ქულა და 10-10 მოხსნა — პასი, რომელიც ტრავმირებული ტომპსონის არყოფნაში „ვორიორზის“ მართლაც ერთადერთი მეომარია. სწორედ მისი ძალისხმევით მოიპოვეს სტუმრებმა გამარჯვება „ლეიკერსთან“, რომელსაც ვერც ჯეიმს — დევისის დამრტყმელი დუეტის შედეგიანობამ უშველა — ორივემ 34-34 ქულა მოაგროვა — 121:114.

გუშინ გამთენიისას მარათონში „ინდიანაც“ ჩაება, რომელმაც პირველი მარცხი „შარლოტისგან“ იწვნია — 122:123.

სავარაუდო იყო, რომ „პეისერზის“ თავკაცი ბილ კარლაილი ბრძოლაში **გოგა ბითაძეს** ჩართავდა, რომელიც უკანასკნელ წინასასეზონო მატჩში პარტნიორებს 18 ქულით შეეწია, მაგრამ ასე არ მოხდა და „ჯვაროსანმა“ თამაში თავიდან ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე გაატარა, დომანტას საბონისმა კი 33 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა.

შეხვედრაში გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „ჰორნეტსმა“ 33:13 მოიგო.

◎ ჩემპიონთა ლიგა

„ბარსას“ აჩრდილი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მესამე ტური 8 მატჩითა და 35 გოლით გაიხსნა, თუმცა მათ შორის იყო ორი გამორჩეული შეხვედრა, რომელთა გმირებიცა და ანტიგმირებიც მეტ-ნაკლებად „ბარსელონასთან“ იყვნენ დაკავშირებულნი, რომელიც იმ დღეს ისვენებდა.

„პარი სენ-ჟერმენი“ - „ლაიფციგი“ 3:2

როგორც იქნა, **ლეო მესიმ** ახალ კლუბშიც გაიბრწყინა, სადაც ასევე ყოფილი ნოუკამპელის ნეიმარის არყოფნაში კილიან მბაპესთან ერთად მრისხანე დუეტი შექმნა და თავი დუბლით გამოიჩინა.

აღსანიშნავია, რომ 2:2-ზე არგენტინელმა „პანენკას პენალტი“ გაბედა, რაც თავხედობაში გადაზრდილი საკუთარი ძალების რწმენის ნიმუშია, მაგრამ ხომ იცით, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მით უმეტეს — მესის კალიბრის მეგავარსკვლავებს. სხვათა შორის, ბოლო წუთზე პენალტი ტრადიციულ სტილში მბაპემაც დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს გადასცდა, მთლიანობაში კი სტუმრებმა ჩინებულად ითამაშეს და რომ არა უკვე ნახსენები წყვილის ინდივიდუალური დიდოსტატობა, დიდი ალბათობით, ზედიზედ მესამე ბრძოლას არ წააგებდნენ, მით უმეტეს ფრანგული გრანდის ფარღალალა დაცვის პირობებში, სადაც კაცი ვერ მიხვდება, ვის რა ფუნქცია აკისრია.

„ატლეტიკო“ - „ლივერპული“ 2:3

კოშმარული დასაწყისის შემდეგ — 0:2 მე-13 წუთზე — დიეგო სიმეონეს გუნდი გონს მალევე მოეგო და პირველივე ტაიმში გაათანაბრა ანგარიში ორი გატანილი ბურთის ავტორის **გრიზმანის** ძალისხმევით, რომელიც ძველ კლუბს კატალონიიდან მიმდინარე სეზონში დაუბრუნდა.

შესვენების შემდეგ მძაფრი სანახაობა ახალი განახლებული იყო, როცა ფრანგმა კუნგფუს მაგვარი ილეთით კინაღამ სკალპი ახადა ფირმინოს და გერმანელ მსაჯს **ზიბერტს** მინდვრიდან გააძევებინა თავი.

ახალგაზრდა შაოსანი შემთხვევით არ გვიხსენებია — მოგვიანებით მან დაახლოებით მსგავს ვითარებაში ჯერ ესპანელები დასაჯა გადამწყვეტი პენალტით, ხოლო შემდეგ კლოპის გუნდის კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი გააუქმა და ვარის საკრალური გამეორების სისტემის გამოყენებით, რომელმაც ფეხბურთის დასამარების ტემპი უკვე კარგა გვარიანად დააჩქარა, სტუმრები პირველი ქულების დაკარგვისგან იხსნა.

საერთოდ კი ქების ღირსია ბრიტანელთა „ეგვიპტელი ფარაონი“ **მოჰამედ სალაჰი,** რომელიც ინგლისური კლუბის პირველი წარმომადგენელი გახდა, ვინც ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ 9 შეხვედრაში გაიტანა ბურთი.

დანარჩენი შედეგები: „აიაქსი — „დორტმუნდი“ 4:0, „შახტარი“ — „რეალი“ 0:5, „პორტუ“ — „მილანი“ 1:0, „ბრიუგე“ — „სიტი“ 1:5, „ინტერი“ — „შერიფი“ 3:1, „ბეშიქთაში“ — „სპორტინგი“ 1:4.

ოთხშაბათის სესია ახალი რეკორდებით დამშვენდა. კერძოდ, **კრიშტიანუ რონალდუ** ერთპიროვნულად დაწინაურდა ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით — 187, ხოლო **ჟერარ პიკემ** მე-16 გოლი გაიტანა და მცველთა შორის საუკეთესო სნაიპერს **რობერტო კარლოსს** დაეწია (რამოსს 15 ზუსტი დარტყმა აქვს შესრულებული).

შედეგები კი ასეთია: „ბარსელონა“ — „დინამო“ (კიევი) 1:0, „ბენფიკა“ — „ბაიერნი“ 0:4, „მანჩესტერი“ — „ატალანტა“ 3:2, „იანგ ბოიზი“ — „ვილიარეალი“ 1:4, „ზალცბურგი“ — „ვოლფსბურგი“ 3:1, „ლილი“ — „სევილია“ 0:0, „ზენიტი“ — „იუვენტუსი“ 0:1, „ჩელსი“ — „მალმიო“ 4:0.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ



ფიგურული სრიალი. მენტინა (იტალია). საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში. **„ოქრო“** — მარია კაზაკოვა, გიორგი რევია — 186,78 ქულა.

* * *

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, გაისად მოხმალავე ქალთა მსოფლიოს თასის ხუთი გათამაშებიდან პირველს 14-16 იანვარს თბილისი უმასპინძლებს.

* * *

დასახელდა საქართველოს **ძიუდოისტთა** ნაკრების შემადგენლობა ბაქოს გრანდ სლემისთვის, რომელიც 22 ქვეყნის 134 წარმომადგენლის (87 ვაჟი, 47 ქალი) მონაწილეობით 5-7 ნოემბერს გაიმართება.

აზერბაიჯანის დედაქალაქის ტატამზე შემდეგი „ჯვაროსნები“ იჭიდავებენ: ლუხუმ ჩხვიმიანი, ჯაბა პაპინაშვილი (ორივე — 60), ვაჟა მარგველაშვილი (66),

ლაშა შავდათუაშვილი (73), გიორგი შერაზადიშვილი, თორნიკე ფოლადაშვილი (ორივე — 81), ლაშა ბექაური, ბექა ღვინიაშვილი (ორივე — 90), ონისე სანებლიძე, მიხეილ ჯაფარიძე (ორივე — 100), გურამ თუშიშვილი (+100), მარიამ ჯანაშვილი, მზია ბებოშვილი (ორივე — 52 კგ).

* * *

დეკემბერში მსოფლიოს საკლუბო **საფეხბურთო** ჩემპიონატი იაპონიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ კოვიდპანდემიის გამო ამომავალი მზის ქვეყანამ უარი თქვა ტურნირის მიღებაზე.

როგორც ამ დღეებში გამოცხადდა, აღნიშნულ ფორუმს გაისად იანვარში არაბეთის გაერთიანებული საამიროები უმასპინძლებს.

* * *

„კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა. XXX ტური. „ბათუმი“ — „დინამო“ 1:1, „ლოკომოტივი“ — „დილა“ — 0:4, „ტორპედო“ — „საბურთალო“ 1:1, „სამგურალი“ — „თელავი“ 0:1, „სამტრედია“ — „შუქურა“ 1:1.

XXXIII ჩემპიონატის სატურნირო ცხრილი. „ბათუმი“ — 64, „დინამო“ — 57, „საბურთალო“, „დილა“

— 50-50, „ლოკომოტივი“ — 44, „სამგურალი“ — 36, „თელავი“ — 35, „ტორპედო“ — 27, „შუქურა“ — 26, „სამტრედია“ — 17 ქულა.

ბომბარდირები: ფანცულაია („ბათუმი“), მარუშიჩი („დინამო“) — 13-13 გოლი.

ფინიშამდე 6 ტური დარჩა.

მიხეილ ჩხენკელმა ლაილაშისა და ორბელის საჯარო სკოლები მოინახულა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი ცაგერის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფლების, ლაილაშისა და ორბელის საჯარო სკოლებს ეწვია.

მინისტრი სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით არსებულ ვითარებას გაეცნო. მიხეილ ჩხენკელმა აღნიშნა, რომ პანდემიის ფონზე სასწავლო პროცესის ბუნებრივ გარემოში, საკლასო ოთახებში, დაბრუნება ძალიან დიდი მიღწევაა, რასაც შენარჩუნება სჭირდება. ამისათვის კი საჭიროა როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე მშობლების მხრიდან სამედიცინო პროტოკოლის ზედმიწევნით დაცვა და ვაქცინაციაში ჩართვა.

მიხეილ ჩხენკელმა სოფელ ლაილაშის ახალაშენებული სკოლა დაათვალიერა, რომელშიც ამჟამად 39 მოსწავლე სწავლობს.

მინისტრის თქმით, ლეჩხუმის მხარე ისტორიულად ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო პროცესების განვითარებაში და ამ მხრივ გამორჩეულია სოფელი ლაილაში, სადაც პირველი საგანმანათლებლო კერა 150 წლის წინ, ჯერ კიდევ 1871 წელს დაარსდა. ეს იყო პირველი სასწავლებელი რეგიონში. დღეისათვის კი მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასკოლო გარემოში მიიღონ განათლება, რაც ორმაგად მნიშვნელოვანი და საამაყოა.

ამასთან, სოფელ ორბელის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს, მიხეილ ჩხენკელმა სასკოლო საზოგადოებას სიახლე გაცნო და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, სოფელში 90 მოსწავლეზე გათვლილი ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასკოლო კომპლექსი აშენდება. გეგმის მიხედვით, მშენებლობა 2021 წელს დაიწყება და წელიწადნახევარში დასრულდება.

ბზა ტობავარჩხილამდე

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ტობავარჩხილის ტბამდე მისასვლელი 10 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულდა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში მოეწყო გრუნტის საფარი და ლითონის თვალამრიდები. პროექტი ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

წუწკი ნარკობარიგები, ისევ ფონიჭალაში!..

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა გენერალურ პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო 10 დღეში, თბილისში 11 ნარკორეალიზატორი დააკავეს.

ფონიჭალის დასახლებაში დაკავებული არიან: 2001 წელს დაკავებული დ.მ., 1989 წელს დაკავებული ა.ა. და 1983 წელს დაბადებული ზ.ა., ასევე, დაკავებულები არიან: 1994 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ზ. 1987 წელს დაბადებული დ. დ., 1967 წელს დაბადებული ა. ა., 1988 წელს დაბადებული რ. ჯ.,1972 წელს დაბადებული რ. ზ., 1970 წელს ა. მ.,1956 წელს დაბადებული ვ. მ.,1989 წელს დაბადებული ლ. ს.

დაკავებულებს ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებაში ედებათ. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს მოქალაქეებზე სისტემატურად ყიდდნენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკული საშუალებების — „ჰეროინის“, „ალფა-პვპ“-ს და „ბუპრენორფინის“ საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

სამართალდამცველებმა ფონიჭალის დასახლებაში, ბრალდებული ზ.ა.-ს საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო ნივთები: ელექტროსასწორი და კოვზი. პოლიციამ, ბრალდებული გ.ზ.-ის პირადი ჩხრეკისას, 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო. სამართალდამცველების მიერ, დაკავებული უცხო ქვეყნის მოქალაქის — ი.ზ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია ფული — 1000 ლარი, მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად კი — 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება.

განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე — ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2015 წლის 29 იანვარს გარდაცვლილი მოქალაქე გიული ჩხაიძის (პ/ნ:01017000125) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მდებარე ქალაქ ბათუმი, გორგასალის ქუჩა 104 (ს/კ: 05.23.22.009.01.505); ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა №3 (ს/კ: 01.15.05.013.001.01.506); ქ. თბილისი მაჩაბლის ქუჩა №3 სარდაფი (01.15.05.013.001.01.510) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

სანთელი

გივი ჯანჯღლავა

სამწუხარო ამბავი მოვიდა პოდმოსკოვიეს ქალაქ რამენსკოედან: გარდაიცვალა სს „რამენსკოეს ხელსაწყომშენებელი საკონსტრუქტორო ბიუროს გენერალური დირექტორი, რამენსკოეს რაიონის საპატიო მოქალაქე, ჩვენი თანამემამულე გივი ჯანჯღლავა.

2021 წლის 10 ოქტომბერს ჩვენგან წავიდა გამოჩენილი მეცნიერი, გენერალური კონსტრუქტორი, ავიახელსაწყოსამშენებლო მრეწველობის ბრწყინვალე ორგანიზატორი.

1940 წელს დაბადებულმა ჭაბუკმა, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალობით 1964 წელს მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რამენსკოეს ხელსაწყომშენებელ საკონსტრუქტორო ბიუროში სადაც, სამსახურებრივი კარიერის უკლებლივ ყველა საფეხურისა და შემოქმედებითი გზის ყველა ეტაპის გავლის შემდეგ — ინჟინრიდან ვიდრე გენერალური დირექტორამდე და გენერალურ კონსტრუქტორამდე — იქ უკანასკნელ დღემდე დაყო. 1970 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1988 წელს კი სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდეგ იგი გზის ერთ-ერთი პირველგამკვლევი გახდა საფრენი აპარატების სანავიგაციო სფეროს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიმართულებისა.

ბატონი გივი ჯანჯღლავა მთელი რიგი პროფილური, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი, ასევე ნავიგაციისა და მოძრაობის მართვის საერთაშორისო, ტექნოლოგიურ მეცნიერებათა და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი წევრი გახლდათ.

იგი 200-ზე მეტი სამეცნიერო და 120-ზე მეტი გამოგონების ავტორი იყო. მისმა ნაშრომებმა ნავიგაციის საშუალებათა თეორიისა და მეთოდების დამუშავების სფეროებში დიდად შეუწყო ხელი დამრტყმელი ავიაკომპლექსების შექმნას.

გენერალური კონსტრუქტორის გივი ჯანჯღლავას საქმიანობა სათანადოდ იყო დაფასებული: მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიები, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბ. პეტროვის, ა. ტუპოლევის, ასევე პეტრე დიდის სახელობისა და „ოქროს იდეის“ ეროვნული პრემიები. იყო რუსეთის ფედერაციის მეცნიერების საპატიო მოღვაწე, სსრ კავშირის საპატიო ავიამშენებელი, მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის საპატიო მოქალაქე.

როგორც ბრძენმა და შორსმჭვრეტელმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა გივი ჯანჯღლავამ შექმნა და წლების მანძილზე ზრუნავდა უნიკალური სამეცნიერო-ტექნოლოგიური საინჟინრო სკოლის განვითარებაზე, გამოზარდა ათობით ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი, უმაღლესი კვალიფიკაციის ასობით ინჟინერი. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით რამენსკოეს ხელსაწყომშენებელ საკონსტრუქტორო ბიუროში დამუშავდა და დაინერგა ათობით ურთულესი ხელსაწყო, სისტემა და კომპლექსი, ფაქტობრივად ყველა ტიპის თვითმფრინავის, ვერტმფრენისა და უპილოტო საფრენი აპარატისთვის.

სამართლიანი, უზადო განათლების, მაღალი ზნეობის, უდიდესი ერუდიციის მქონე პიროვნება, რომელსაც სხარტად შეუძლია საქმის არსში სიღრმისეული ჩაწვდომა, საკუთარი აზრის ზუსტად და ხატოვნად ჩამოყალიბება და მისი ტაქტიანად გადმოცემა, მოვლენათა ურთულესი ურთიერთკავშირების უმალ შემჩნევა და სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნიკალური უნარი, აზროვნების სახელმწიფოებრივი მასშტაბის პატრონი და, ამასთან, უაღრესად გულიანი, სხვისი ჭირის გამზიარებელი, გულღია, ხელგაშლილი, ჭეშმარიტად კეთილშობილი და გულკეთილი კაცი — ასეთად დარჩება ბატონი გივი ჯანჯღლავა კოლეგების, თანამშრომლების, ნათესავებისა და ახლობლების გულებში.

უფალმა გაანათლოს მისი სული!

ფერდინანდ, მარიცა, ნინიკო, მიხეილ ლორთქიფანიძეები, ირინა გვიჩია, მურთაზ გულედანი, ქეთინო, მაია კუპრაშვილები, ნუკრი ნოზაძე, ნანა, მარიკა, ავთო, ამირან ჯანჯღლავები, კლიმენტი (ბიჭიკო) ჯანჯღლავა, ლევან დოლიძე, იულია კეკელია.

ორი დღის ათი საოცრება...

პატარა ბიჭი **იდგა სცენაზე ჩოხოსან ქართველ ვაჟკაცებთან ერთად, თავადაც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი. ყელი ამაყად მოეღერებინა და დარბაზში ჰანგებად იღვრებოდა გურული სატრფიალო — „გახსოვს, ტურფავ“. უცებ ამ ბიჭმა, თითქოს ბურთს ფეხი ამოჰკრაო, ისე ჩაახვ-ჩააკრიმაჭუ-ლა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. თვალწინ დედულეთი დამიდგა. ასე მომეჩვენა, ცაზე თავმიბჯენილი გურიის მთებიდან დაქანებულმა მორაკრაკე ნაკადულებმა გეზი იცვალეს და გვიმრისფერი ხვლიკებივით აღმა დაიწყეს ტანტალი...**

ორი დღე ერთმანეთს ენაცვლებოდა **კოლხური „ნანა“ და აფხაზური „გულისა, შარატინ“, ქალაქური ფოლკლორი და „შილდური მრავალჟამიერი“, დები იშხნელების „ყოველ სნეულებაზე“ და ანზორ ერქომაიშვილის „ხოხბის ყელივით ლამაზი“... სწორედ, ბატონ ანზორს უთქვამს, თუ გინდა, რომ სიმღერა გადარჩეს, ის ბავშვებს უნდა შეასწავლოო. ჰოდა, ეს საოცარი ბავშვები — გუგა ნადირაძე და ბარბარე მახათაძე, ანდრია ბერიძე და ნინი ორკოშნელი, ნიკოლოზ ქაჯაია და იოანა ნავაძე, გეგა შონია და მარიამ ბუხნიკაშვილი, დავით ლუარსაბიშვილი და კესო რუსია ანსამბლ „შავნაბადასთან“ ერთად სასწაულებს ქმნიდნენ სცენაზე.**

ის ფაქტი, რომ მუსიკას ადამიანის არა მარტო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე შეუძლია უდიდესი ზემოქმედება, არამედ გარკვეული დოზით მის მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიასაც რომ აყალიბებს, ანტიკურ ეპოქაშიც იყო შემჩნეული. აი, მაგალითად, პითაგორას მიაჩნდა, რომ „მიწიერი“ მუსიკა სფეროების კოსმოსური ჰარმონიის გამოვლინებაა და ამ მიზეზით ამაღლებული „ადამიანური“ მუსიკის ყღერადობას შეუძლია ადამიანის შინაგან სამყაროში ისეთივე ჰარმონიული წესრიგი დაამყაროს, როგორსაც „მსოფლიო მუსიკა“ ქმნის კოსმოსში.

კონფუცის აზრით, „თუ გინდა გაიგო, რომელიმე ქვეყანას მმართველობის საქმე როგორ მისდის და მისი ზნე-ჩვეულებანი ჯანსაღია თუ არა, მაშინ მოუსმინე მის მუსიკას“.

არისტოტელე მუსიკის ეთიკური ზემოქმედების ფენომენს იმ ვითარებით ხსნიდა, რომ მის სულიერ საფუძველში დევს „ზნეობრივი მდგომარეობის ჩანასახები“.

ალბათ, ამიტომაც, არ ყოფილა შემთხვევითი, 9 წლის იოანა ნავაძემ ბავშვური გულწრფელობით რომ უთხრა მაყურებელს — „ერთი სული მაქვს, როდის ვიმღერებ „შავნაბადასთან“ ერთად. ეს იქნება დაუვიწყარი დღე ჩემთვის“.

და არა მარტო შენთვის, პატარა ფერიავ, ჩვენთვისაც, ვინც იმ დარბაზში იჯდა და ვინც ცისფერ ეკრანს იყო მიჯაჭვული.

ათასგზის მადლობა პირველი არხის სამუსიკო პროექტ „რანინას“ მესვეურებს, ანსამბლ „შავნაბადას“ თავკაცის — დავით ცინცაძის ხელმძღვანელობით, საბავშვო ევროვიზიისთვის საქართველოს 2021 წლის კონკურსის (ჟიური — მაია მიქაბერიძე, გიორგი სიხარულიძე, დავით ევგენიძე, წამყვანები — დავით ალადაშვილი და ლიკა ევგენიძე) ათ ნორჩ მონაწილეს, რომლებმაც ორი დღის განმავლობაში საოცრებებს გვაზიარეს. მართებულად შენიშნა დათო ევგენიძემ, ეს იყოო ერთიანი საქართველოს დღესასწაული.

ჭეშმარიტად!

და ასეთი დღესასწაულები ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!

მაშინ ნამდვილად გვიწერია გადარჩენა!!!

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„ოლე“ №4

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2021 წლის IV ნომერი.

ჟურნალის ეს ნომერი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსებით. „მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: **ფიქრია ყუშიტაშვილის** პიესა „ქოხი ტყის პირას“; **ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (დასაწყისი), **კახაბერ პავლიაშვილის, მაია კაკაურიძის, ივეტა პავლიაშვილის, მარიამ ძამუკაშვილის, თინათინ თელაველის** პროზაული ნაწარმოებები; **ფარნა რაინას, ელგუჯა ციგროშვილის, მარიამ კოზმანიშვილის, ელდარ ჭიჭიაშვილის** ლექსები. „საბავშვო საკითხავის“ რუბრიკით ქვეყნდება **ნუნუ ძამუკაშვილის** ლექსები. „თარგმანების“ რუბრიკაში გაეცნობით **დინო ბუცატის** მოთხრობას „სასიყვარულო წერილი“, თარგმნა **მაია ტურაბელიძემ** და XIX-XX საუკუნეების რუსული ლირიკა, თარგმნა **ციცინო მარკოზაშვილმა.**

„კრიტიკის“ რუბრიკაში იბეჭდება **როინ ჭიკაძის** „ხალხური სასაუბრო ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და ინტონაციური ოპუსები თამრი ფხაკაძის მოთხრობებში“. რუბრიკაში „წერილები“, გამოქვეყნებულია: **მაყვალა მიქელაძის** „ოთარ ჭილაძის ლიტერატურული პორტრეტისათვის“ და **ზაალ ბოტკოველის** „სამშობლოს გამორჩეული ცრემლი“. ჟურნალში დაბეჭდილია მხატვარ **ვანო გოცირიძის** ფერადი და შავთეთრი ნახატები.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„იმდენად ხარ მოხუცი, რამდენადაც თავს მიიჩნევ“

გაერთიანებული სამეფოს დედოფალ ელისაბედ მეორეს თავისი ცხოვრების განმავლობაში არაერთი ჯილდო მიუღია, თუმცა ცოტა ხნის წინ, მან უარი განაცხადა „წლის მოხუცის“ ჯილდოზე.

დედოფალმა ჯილდო მისთვის შეუფერებლად მიიჩნია და თავისი გადაწყვეტილება შემდეგნაირად განმარტა — „იმდენად ხარ მოხუცი, რამდენადაც თავს მიიჩნევ“. გავრცელებული ცნობით, მონარქმა „თავაზიანი, მაგრამ მტკიცე“ უარი თქვა ჯილდოზე, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემათ ხანდაზმულ ადამიანებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი განსაკუთრებული მიღწევების აღსანიშნავად. ამასთან, მონარქმა ჯილდოს ორგანიზატორებს კეთილი სურვილები გაუგზავნა და წარმატებები უსურვა. როგორც იუწყებიან, საპატიო ჯილდო დედოფალს მომავალს წელს, პლატინის იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებათა ფარგლებში უნდა გადასცემოდა. დედოფლის უარის შემდეგ, წლის ხანდაზმული ადამიანის ჯილდო 90 წლის ფრანგ-ამერიკელ მსახიობს და მოცეკვავე ლესლი კარონს გადაეცა, რომელიც დედოფალზე ხუთი წლით უმცროსია. 2011 წელს წლის მოხუცის ჯილდო დედოფლის მეუღლეს, ედინბურგის ჰერცოგ, პრინც ფილიპს გადაეცა.

არასდროსაა გვიან

ინდოეთში 70 წლის ქალმა ხელოვნური განაყოფიერების დახმარებით შვილი გააჩინა. ჯოვუნბენ რაბარის და მისი 75 წლის ქმრის მალჯხარისთვის ბიჭი პირველი შვილია. წყვილი 45 წელია დაქორწინებულია. წლების განმავლობაში ისინი ბავშვის გაჩენას ცდილობდნენ, მაგრამ შემდეგ რეპროდუქტოლოგებს მიმართეს.

„როცა ჩვენთან პირველად მოვიდნენ, ვუთხარით რომ ამ ასაკში ბავშვი ვერ გაუჩნდებოდათ, მაგრამ გვიპასუხეს, რომ მათი ოჯახის რამდენიმე წევრმა ეს მოახერხა. ეს ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი შემთხვევაა, რომელიც ოდესმე მინახავს“, — განაცხადა ექიმმა ნარეშ ბხანუშალიმ. წყვილი გუჯარათის შტატის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 ოქტომბერს

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
აშშ დოლარი - 3.1411; ევრო - 3.6531;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3234;
100 რუბლი - 4.4252; თურქული ლირა - 0.3367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8459;
1000 სომხური დრამი - 6.5713.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ბარი - ღამე +6, დღე +16
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +13
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ბარი - ღამე +8, დღე +16
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +11
თბილისი: ღამე +12, დღე +15

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge